



K 180 372  
3

30ლოს სსრ კულტურის სამინისტრო

ქ. თბილისის სახელმწიფო საკართველოს სსრ სახელმწიფო  
ლიბერტეტურის გიგანტობრივა

საცხოვარო-პიგდიონგავავის ერთობენი  
საინჟინერო განაკვეთი  
პიგდიონთავების ქადაგის  
ცენზურიზაციის პირვენები


თავისუფე

1979

საქართველოს სსრ გულაშვილის სამიწოდებელო  
ტ. გარესძის სახელობრივი საქართველოს სსრ სახელმწიფო  
რეპუბლიკური ბიბლიოთეკა

საცნობარო-გიგანტური ეა  
საინჟორინგო მუშაობა გიგანტურობის  
ქსედის ცენზრიზაციის პირობებში

(მეთოდური წერილი)



თბილისი


1979

୦୧

ଶୁଣିମୋହନଗ୍ରହ

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତେଣୀ: ଶ. ମିଶ୍ରଲାପ୍ତେ

ଲେଖକ୍ଷେତ୍ରକର୍ତ୍ତା: ଡ. ବେରୁଲାଙ୍କା



୫୯୮

୨୦୧୩



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობაში დადგენილებამ „სკპ ცენტრალური“ კომიტეტის 1974 წლის მაისის დადგენილებამ „მშრომელთა კომუნისტურ აღზრდასა და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში ბიბლიოთეკების როლის ამაღლების შესახებ“ დასახელ საბიბლიოთეკო საქმის აღმავლობის გრანდიოზული პროგრამა. აღნიშნეს ის დიდი და მნიშვნელოვანი მუშაობა, რომელსაც ბიბლიოთეკები ეწევიან ჩვენი ქვეყნის საზოგადოების განვითარების სოციალურ-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურულ ცხოვრებაში.

სკპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის მაისის დადგენილებაში აღნიშნულია ბიბლიოთეკების ქსელის ცენტრალიზაცია, რომლებიც მოწოდებულია ყველა მიმართულებით გაშალონ და გააძლიერონ ბიბლიოთეკების შემოქმედებით და პრაქტიკული მუშაობა. მათ შორის მოსახლეობის საინფორმაციო და საცნობარო-ბიბლიოგრაფიული მომსახურება.

ახლად ორგანიზებული ცენტრალური ბიბლიოთეკების მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მათ საქმიანობაში საინფორმაციო და საცნობარო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის გაუმჯობესებისა, და შემდგომი განვითარებისათვის შეიქმნა რეალური პირობები. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ წიგნადი ფონდების ცენტრალიზებული დაკომპლექტება, დამუშავება და კატალოგების ორგანიზაცია გამოათავისუფლებს მუშაკებს მთელ რიგ ტექნიკურ ოპერაციებისაგან, არამედ ის, რომ, იგი უზრუნველყოფს ცენტრალური ბიბლიოთეკის სისტემაში ერთიან, შეთანხმებულ საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ და საინფორმაციო მუშაობას, ცენტრალურ ბიბლიოთეკასა და ფილიალებში არსებული საცნობარო-ბიბლიოგრაფიული პარატის საფეხურებზეც გამოყენებას.

ბიბლიოთეკების ქსელის ცენტრალიზაციის პირობებში საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის შემდგომი განვითარებისათვის შექმნილია სპეციალური სამსახური — საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო განყოფილება, ბიბლიოთეკაფების საშტატო ერთეულებით, რომლებიც მოწოდებული არიან აწარმოონ, არა მარტო საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობა, არამედ შეასრულონ ფილიალებისა და



სხვა უწყების ბიბლიოთეკებისადმი ბიბლიოგრაფიულ და საინფორმაციულ მაციო მუშაობის დარგში მეთოდური ხელმძღვანელობის ფუნქცია:

საინსტრუქციო მეთოდურ მასალებში — „სახელმწიფო მასობრივი ბიბლიოთეკების ქსელის ცენტრალიზაცია“ (თბ., 1973 წ.)<sup>1</sup> აღნიშნულია, რომ „ქსელის ცენტრალიზაციის პირობებში თითოეული ცალკე ბიბლიოთეკის მუშაობა უკავშირდება ცენტრალიზებული ქსელის სხვა ბიბლიოთეკების მუშაობას მკითხველთა საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების ქმედითი სისტემის შესაქმნელად. მის არსებით ნიშნებს წარმოადგენს: ცენტრალიზებული ინფორმაცია საერთო საბიბლიოთეკო წიგნად ფონდში შემოსული ლიტერატურის შესახებ, მთელი რიგი პროცესების გაერთიანება, მომსახურების სხვადასხვა ფორმებისა და მეთოდების გამოყენების კოორდინაცია და კოოპერატიურება, ბიბლიოგრაფიული მოთხოვნების საფეხურებრივი შესრულების ჩათვლით.

სისტემის შთელი საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის ერთიან მიმართულებას და შეთანხმებულობას უზრუნველყოფს ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული განყოფილება. იგი წარმოადგენს შემაკავშირებელ რგოლს სხვა უწყებათა ბიბლიოთეკებსა და ფილიალებს შორის. მის ფუნქციის შეადგენს:

1. მთელი საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის დაგეგმვა და კონტროლი;

2. ერთიანი საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის შექმნა;

3. მკითხველთა ყველა ჯგუფის, განსაკუთრებით პარტიული და სამეცნიერო აქტივის, სახალხო მეცნიერობისა და კულტურის სპეციალისტების, მრეწველობისა და სასოფლო-სამეცნიერო წარმოების მოწინავეთა საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მომსახურება;

4. ცენტრალური ბიბლიოთეკის განყოფილებებისა და ფილიალებისადმი მეთოდური დახმარება საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული საქმიანობის ყველა საკითხში;

5. სხვა ბიბლიოთეკებსა და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის ორგანოებთან მუშაობის კოორდინირება“ (გვ. 162-163).

როგორც ცნობილია ცენტრალური ბიბლიოთეკის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება და მისი მუშაობა მჭიდროდ არის

და ყავშირებული ცენტრალური ბიბლიოთეკის ფილიალებთან, ადგილობრივ კულტურულ, სამეურნეო დარგის დაწესებულებებთან და სხვა უწყების ბიბლიოთეკებთან. იგი პასუხისმგებელია ცენტრალური სისტემის საცნობარო და საინფორმაციო ბიბლიოგრაფიული მუშაობის საერთო ორგანიზაციაზე.

ცენტრალური ბიბლიოთეკის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების, ფილიალებსა და სხვა უწყების ბიბლიოთეკებს შორის მუშაობის კოორდინაციაზე უნდა მოხდეს იმგვარად, რომ ყველაზე სრულად და ეფექტურად დავაკმაყოფილოთ მკითხველთა კონკრეტული მოთხოვნილებები, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ფილიალის მიერ იყო მიღებული შეკითხვა და სად იმყოფება ტერიტორიულად ეს ფილიალი.

ცენტრალური ბიბლიოთეკის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება აწარმოებს, არა მარტო საწარმოო-დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობების, პროფესიულული და კომკავშირული ორგანიზაციების მომსახურებას საინფორმაციო ბიულეტენებით, სარეკომენდაციო სიებით და საბიბლიოთეკო შომსახურების სხვადასხვა ფორმებით, არამედ, მის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ყველა კატეგორიის მკითხველთა მომსახურება და საჭირო ცნობების მიწოდება მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შრომების, სკუპ და საბჭოთა მთავრობის დადგენილებისა და გადაწყვეტილებების, მიმდინარე სამეურნეო და პოლიტიკური, საერთაშორისო საკითხების, მეცნიერების უახლესი მიღწევების შესახებ. ამიტომ ცენტრალური ბიბლიოთეკის სისტემის თითოეული მუშაკი, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს მკითხველებთან, კარგად უნდა ერკეოდეს პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებებში და გადაწყვეტილებებში, მიმდინარე სამეურნეო და პოლიტიკურ მოვლენებში, ნათელი წარმოადგენა პქონდეს ცხოვრების მიერ წამოჭრილ აქტუალურ საკითხებზე, საფუძლიანად იცნობდეს ლიტერატურას და პროპაგანდა გაუწიოს მას.

ჩვენი რესპუბლიკის ცენტრალური ბიბლიოთეკების საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილებების უმრავლესობა გადაიქცა რეგიონის დიდ საინფორმაციო ცენტრებად და აწარმოებენ სხვადასხვა ჯგუფის მკითხველთა და მათ შორის სპეციალისტების საბიბ-

ლიოთეკო, საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მომ-  
სახურებას. ამასთან, უმჯობესდება ცენტრალიზებული ბიბლიოთე-  
კების საინფორმაციო-საძიებო ბაზები: კატალოგები, კარტოთეკები,  
ყველა სახის საცნობარო აპარატი, იქმნება რეალური შესაძლებლო-  
ბა საბიბლიოთეკო საქმიანობაში პროგრესიული ფორმებისა და მე-  
ქანიზაციის გამოყენებისათვის.

მკითხველთა საინფორმაციო და საცნობარო-ბიბლიოგრაფიუ-  
ლი მომსახურების საფუძველს წარმოადგენს საცნობარო-ბიბლიო-  
გრაფიული აპარატი და ის სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომ-  
ლებიც ორეგლამენტებენ ცენტრალიზებული ბიბლიოთეკის საცნო-  
ბარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილებისა და მისი მუშავების საქ-  
მიანობას. სხვა დოკუმენტებთან ერთად, ერთ-ერთ ასეთ დოკუმენტს  
წარმოადგენს „სანიმუშო დებულებები ცენტრალიზებული საბიბ-  
ლიოთეკო სისტემის სტრუქტურული ქვეგანყოფილების შესახებ  
და თანამშრომელთა ძირითადი თანამდებობრივი ინსტრუქციები“.  
ამ დოკუმენტში მოცემულია — „სანიმუშო დებულება ცენტრალუ-  
რი ბიბლიოთეკის საინფორმაციო ბიბლიოგრაფიული განყოფილების  
შესახებ“. აქვეა მოცემული სანიმუშო თანამდებობრივი ინსტრუქ-  
ციები საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიულ განყოფილების გამგის და  
უფროსი ბიბლიოგრაფისათვის (საბავშვო ლიტერატურის ბიბლიო-  
გრაფიის დარგში), რომლებიც თან ერთვის ამ წერილს.

ცენტრალიზებული სისტემის ბიბლიოთეკების მყითხველთა მოთხოვნილების დაკმაყოფილების ერთ-ერთ ძირითად პირობას საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის გულმოლგინე დაკომპლექტება წარმოადგენს.

ცენტრალიზებული ბიბლიოთეკების სისტემაში საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის სანიმუშო მოდელი ზუსტად არის განსაზღვრული „Техника работы централизованной библиотечной системы (инструктивно-методические рекомендации и учетные формы», 1978 г.) სადაც აღნიშნულია, რომ ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის განხორციელების საფუძველს წარმოადგენს ერთიანი საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატი, რომელიც კატალოგებისა და კარტოოთეკების სისტემის, საცნობარო და ბიბლიოგრაფიული გამოცემების ფონდის, შესრულებული ცნობებისა და ბიბლიოგრაფიული სიებისაგან შედგება. ისინი მრავალმხრივად ხსნიან და პროპაგანდას უწევენ ერთიან ფონდს. კატალოგებისა და კარტოოთეკების სისტემას შეადგენს: ცენტრალური კატალოგები ცალკეული გამოცემათა სახეების კატალოგები, სტრუქტურული ქვეგანაყოფების ფონდების კატალოგები, მხარეთმცოდნეობის კარტოთეკა, რეცენზიების კარტოთეკა, პერიოდული გამოცემების შეერთებული კატალოგები. მათ შორის ცენტრალური სამსახურებრივი ანბანური კატალოგი, მყითხველთა ცენტრალური სისტემატური კატალოგი; საეურნალო და სგაზეთო სტატიების სისტემატური კარტოთეკა, სანოტო გამოცემების ანბანური კატალოგი, ხმის ჩამწერი მასალების ანბანური კატალოგი, დიაფილმების ანბანური კარტოთეკა, საბავშვო ბიბლიოთეკების კატალოგები და კარტოთეკები, ბიბლიოთეკა-ფილიალების ფონდის ანბანური და სისტემატური კატალოგები, უურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი სტატიების სისტემატური კარტოთეკები, და სხვ.

უურნალ-გაზეთების სტატიების კარტოთეკა სისტემატური კატალოგის დამატებას წარმოადგენს და იმავე სქემით უნდა იყოს



შედგენილი როგორც სისტემატური კატალოგია. რუბრიკების შედგენილი ნით პირველ პლანზე ნაჩვენები იქნება სკპ და საბჭოთა მთავრობის დადგენილებები და გადაწყვეტილებები. ბარათები რუბრიკების ქვეშ უნდა განლაგდეს უკუქრონოლოგიური წესით.

კარგად ორგანიზებული კარტოთეკები დიდად შეუწყობს ხელს ცენტრალურ ბიბლიოთეკას საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ და საინფორმაციო მუშაობაში.

უურნალ-გზეთების სტატიების კარტოთეკები სისტემატურად უნდა იწმინდებოდეს მოძველებული მასალების ბარათებისაგან. სწორედ ეს არის კარტოთეკის მოქნილობის ერთ-ერთი დადებითი მხარე. ამასთან უნდა ვიცოდეთ, რომ სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული, ტექნიკის, ისტორიის, ლიტერატურათმცოდნეობის შესახებ სტატიების აღწერილობის ბარათები ხანგრძლივი პერიოდისათვის უნდა შევინარჩუნოთ.

კარტოთეკები სარეკომენდაციო ხეილის მატარებელია და მუდამ უნდა შეესაბამებოდეს მკითხველთა ინტერესებს და მათ მოთხოვნილებებს. გარდა ამისა კარტოთეკები აადგილებს ბიბლიოთეკარის მუშაობას და იძლევა სამუშაო ღრის ეკონომიას. მათ აღარ დასჭირდებათ მკითხველის მიერ მოთხოვნილი მასალის ძებნა პერიოდიკის სხვადასხვა ნომრებში ან კომპლექტებში.

ბიბლიოთეკების ქსელის ცენტრალიზაციამ უფრო მეტი შესაძლებლობა შექმნა მხარეთმცოდნეობის სრულყოფილი კარტოთეკის შექმნისათვის. მასში ასახულია როგორც წიგნები, ისე წიგნში მოცემული ცალკეული თავების აღწერილობა. ამ კარტოთეკაში აისახება ის წიგნებიც, რომლებიც ცენტრალურ ბიბლიოთეკის სისტემის ფონდში არ არის, მაგრამ მხარის შესახებ მოცემულია რაიმე ცნობები, კარგი იქნება თუ ასეთ ბარათებზე მიუთითებთ რომელ ბიბლიოთეკის ფონდში ინახება იგი.

ჩვენი რესპუბლიკის ცენტრალური ბიბლიოთეკების უმრავლესობაში შედგენილია მხარეთმცოდნეობის კარტოთეკები. ყველა მათგანის დასახელება შეუძლებელია, ამიტომ სანიმუშოდ მოვიტან გორისა და გურჯაანის რაიონების ცენტრალური ბიბლიოთეკების მხარეთმცოდნეობის კარტოთეკებს. გორის ცენტრალური ბიბლიოთეკის მხარეთმცოდნეობის კარტოთეკა 60-ზე მეტ რუბრიკას მოი-

კავს, რომლებშიც ასახულია რაიონის საქმიანობის თითქმის ყველა მხარე. რუბრიკები დალაგებულია არსებული წესით. მაგალითად, „პარტია და საბჭოთა მთავრობა გორის რაიონის შესახებ“, „ადგილობრივი პარტიული და ხელისუფლების ორგანოები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება“, „კომკავშირის რაიონული ორგანიზაცია“, „რაიონული პროფესიული კავშირი“, „ნებაყოფლობითი საზოგადოებები და მათი საქმიანობა“, „გორის რაიონის რესურსები და ბუნებრივი პირობები“, „გორის რაიონის სახალხო მეურნეობა“, „მრეწველობა“, „მშენებლობა“, „ტრანსპორტი“, „კავშირგაბმულობა“, „სოფლის მეურნეობა“, „საბჭოთა მეურნეობები“, „კოლმეურნეობები“, „აგროტექნიკა“, „ზოგადი მემცნებელობა“, „ნიადაგი“, „თესლბრუნვა“, „ბრძოლა სარეველების, მინდვრის მავნებლებისა და სხვა ავაღმყოფობების წინააღმდეგ“, „მოსავლის აღება“, „მარცვლოვანი კულტურები“, „ტექნიკური კულტურები“, „მებოსტნეობა და მებალეობა“, „მეხილეობა“, „მეცხოველეობა“, „მეფრინველეობა“, „მეაბრეშუმეობა“, „მეფუტკრეობა“, „ვაჭრობა საზოგადოებრივი კვება“, „ჯანმრთელობის დაცვა, სამედიცინო დაწესებულებები“, „ფიზკულტურა და სპორტი“, „სახალხო განათლება“, „ბეჭდვითი სიტყვა“, „კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა“, „ბიბლიოთეკები“, „საკულტო დაწესებულებები“, „გორის რაიონი ლიტერატურაში“, „მუსიკა“, „თეატრი“, „კინომომსახურება“, „რაიონის ლიტერატურული ცხოვრება“. „ფოლკლორი“, „ისტორია“, „გორის რაიონი ოქტომბრის რევოლუციამდე“, „გორის რაიონი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ“, „გორის რაიონის გამოჩენილი ადამიანები“ და ა. შ.

კარგი მხარეთმცოდნეობის კარტოთეკა აქვს გურჯაანის რაიონის ცენტრალურ ბიბლიოთეკას. აღსანიშნავია, რომ ამ ბიბლიოთეკას ცენტრალიზაციამდეც ჰქონდა შედგენილი მხარეთმცოდნეობის კარტოთეკა, რომელიც სანიმუშოდ იღწერილი აქვს გ. ბერულავას გურჯაანის სარაიონო ბიბლიოთეკის შესახებ გამოქვეყნებულ მონოგრაფიულ ნარკვევში.

ბიბლიოთეკის ქსელის ცენტრალიზაციის პერიოდში ეს კარ-

ტოთეკა უფრო გაფართოვდა და სრულყოფილი გახდა. ამჟამად იგი შემდეგ ძირითად რუბრიკას მოიცავს: „გურჯანის რაიონული პარტიული ორგანიზაცია“, „გურჯანის რაიონის ახალგაზრდობა“ და კომენტირული ორგანიზაცია“, „გურჯანის რაიონი ხუთწლედში“, „გურჯანის რაიონის ბუნება. საწარმოო ძალები და მათი შესწავლა“, „რაიონის სახალხო მეურნეობა“, „მრეწველობა“, „სოფლის მეურნეობა“, „მეცენატეობა“, „მეცხოველობა“, „მებოსტნეობა“ და მებაღჩეობა“, „კოლმეურნეობები“, „საბჭოთა მეურნეობები“, „გურჯანის რაიონის კულტურული მშენებლობა“, „სახალხო განათლება“, „განმრთელობის დაცვა“, „კურორტები“, „ფინკულტურა და სპორტი“, „გურჯანის რაიონი მხატვრულ ლიტერატურაში“, „ისტორია“, „ეულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები“, გურჯანის რაიონის მოწინავე ადამიანები. გამოჩენილი მოღვაწეები“ და ა. შ. ასეთივე კარტოთეკები აქვთ შედგენილი თელავის, მცხეთის, სამტრედიის, საჩხერის, ბორჯომის და სხვა რაიონების ცენტრალურ ბიბლიოთეკებს.

აღნიშნული სანიმუშო მხარეთმცოდნეობის კარტოთეკები ბიბლიოთეკებმა შემოქმედებითად უნდა გამოიყენონ. მხარეთმცოდნეობის კარტოთეკების შედგენისას საჭიროა გაითვალისწინონ არსებული პირობები და შესაძლებლობები. ბიბლიოთეკებმა შესაძლოა აღნიშნული კარტოთეკებიდან აიღონ ზოგიერთი საკითხი, დაუმატონ ან დაკონკრეტონ იგი, მაგრამ ძირითადი საკითხები რაც აღნიშნულ კარტოთეკებშია გათვალისწინებული შეიძლება დარჩეს.

ასეთი კარტოთეკების შედგენა ყველა ცენტრალურ ბიბლიოთეკას და მის ფილიალს შეუძლია, მხოლოდ საჭიროა ცენტრალური ბიბლიოთეკის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების მუშაქები სერიოზულად მოეკიდონ ამ საქმეს. როთაც თავიანთ წვლილს შეიტანენ მხარის, რაიონის, ქალაქის, თუ სოფლის შესწავლის საქმეში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალების კარტოთეკებში პირველად შეიძლება მცირე რაოდენობით გვქონდეს რუბრიკები, მაგრამ მასალების დაგროვების შემდეგ თანდათანობით გაისხნას ახალი რუბრიკები.

მხარეთმცოდნეობითი მუშაობის შედეგად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ადგილობრივი მოსახლეობა გაეცნოს თავის მხარის, რაი-

ონის, ქალაქისა თუ სოფლის ისტორიას, აწყუოს, მის მეურნეობას; კულტურას, განათლებას. ისინი უნდა განიმსჭვალონ იმის ღრმა რწმენით, რომ მათმა მხარემ, რაიონმა, ქალაქმა, სოფელმა თუ კოლმეურნეობამ მეტი და სასახელო შვლილი შეიტანოს ჩვენი ქვეყნის საერთო სახალხო საქმიანობაში, რადგან ჩვენი ქვეყნის თითოეულ მხარეს, რაიონს, ქალაქს, სოფელს, საწარმოოს თუ კოლმეურნეობას თვეისი ადგილი უკავია ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის საერთო სისტემაში.

როგორც, აღნიშნეთ უურნალ-გაზეთების სტატიების საერთო კარტოთეკის შედგენა სავალდებულო ცენტრალიზებული სისტემის ყველა ბიბლიოთეკისათვის. მაგრამ, იგი არ გამორიცხავს მიმდინარე პოლიტიკურ და სამეურნეო საკითხებზე თემატურ კარტოთეკების შედგენას. თემატური კარტოთეკების საშუალებით ცენტრალური ბიბლიოთეკა და მათი ფილიალები ყოველთვის და ღროულად უნდა ეხმაურებოდნენ სკკ და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებს, ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარ აქტუალურ პრობლემებს.

ცენტრალური ბიბლიოთეკის ერთიანი საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის შექმნისათვის და საცნობარო-საინფორმაციო მუშაობის წარმატებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საცნობარო ფონდის დაკომპლექტებას და მის სისტემაში მოყვანას.

საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ აპარატში, გარდა კატალოგებისა და პერიოდიკაში დაბეჭდილი სტატიების კარტოთეკებისა, თავს იყრის საცნობარო ხასიათის ლიტერატურა, რომლის დაკომპლექტება ხდება მკითხველთა კონტინგენტის და მათი მოთხოვნილების გათვალისწინებით. ეს ფონდი, კატალოგებსა და კარტოთეკებთან ერთად, წარმოადგენს დასაყრდენ ბაზას საცნობარო-საინფორმაციო მუშაობისათვის. აქ სავალდებულო წესით უნდა იყოს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა სრული კრებულები, თხზულებათა ტომები, მათ შესახებ არსებული ანბანური და საგნობრივი საძიებლები, სკკ და საბჭოთა მთავრობის დადგენილებები და საღირექტივო მასალები, საკანონმდებლო მასალები, უნივერსალური და დარგობრივი ენციკლოპედიები, საწარმოო-ტექნიკური და განმარტებითი ლექსიკონები; ენობრივი ლექსიკონები, ცნობარები, ყოველწლიური კალენდარები და სხვა ბიბლიოგრაფიული წყაროები.



საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაქერიათვა  
სათვის ბიბლიოგრაფიულ აპარატში უნდა იყოს აგრეთვე ინსტრუქ-  
ციები, ბრძანებები, სსრ კავშირის, საქართველოს და სხვა მოკავში-  
რე რესპუბლიკების აღმინისტრაციული დაყოფის შესახებ ცნობა-  
რები, გელგრაფიული ატლასები, პროგრამები, კ. მარქსის სახელო-  
ბის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური და სხვა ბიბ-  
ლიოთეკების მიერ გამოცემული საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და  
სარეკომენდაციო-საინფორმაციო მასალები. აქვე უნდა იყოს: „ქარ-  
თული უურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრა-  
ფია“, „ქართული გაზეთების ანლიტიკური ბიბლიოგრაფია“, „წიგ-  
ნის მატიანე“, „უურნალების სტატიების მატიანე“, „გაზეთების  
სტატიების მატიანე“, „ქართული წიგნი“ და სხვა ღამხმარე ბიბლი-  
ოგრაფიული წყაროები. საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ აპარატს  
განეკუთვნება, აგრეთვე საბეჭდ მანქანაზე და ორტაპრინტზე დაბე-  
ჭდილი მასალები, რომლებსაც ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო  
სისტემა და სხვა ბიბლიოთეკები უშვებენ. საბეჭდ მანქანაზე და  
როტაპრინტზე დაბეჭდილი მასალები შინაარსის მიხედვით საქა-  
ლალდეში ინახება. თოთოეულ საქალალდეს დაესმის ცენტრალიზე-  
ბულ საბიბლიოთეკო სისტემაში გამოყენებული კლასიფიკაციის  
სქემის შესაბამისი ინდექსი.

ამრიგად, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში იქმნება საერთო საც-  
ნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატი და მას ხელმძღვანელობს ბიბ-  
ლიოგრაფიული განყოფილება. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ და სა-  
ინსტრუქციო მეთოდურ წერილშიდაცაა მოცემული, ეს სრულია-  
დაც არ ანთავისუფლებს ცალკეულ ფილიალებს საცნობარო-ბიბ-  
ლიოგრაფიულ მუშაობისაგან, პირიქით, მათი მოვალეობაა, სხვა  
სამუშაოსთან ერთად, მკითხველებს შორის გასწიონ საცნობარო-  
ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობა, მკითხველების შე-  
კითხვებზე გასცენ სრულყოფილი პასუხი და აწარმოონ მკითხვე-  
ლებში საცნობარო-ბიბლიოგრაფიული ცოდნის პროპაგანდა.

ზემოთ ჩვენ ვთქვით, თუ რა ძირითადი კარტოთეკები შეიძ-  
ლება იყოს ცენტრალური ბიბლიოთეკის ფილიალებში. აღნიშნეთ,  
რომ სასურველია ფილიალებში იყოს მხარეთ მცოდნეობისა და რე-  
ცენტრიების კარტოთეკებიც. ცენტრალური ბიბლიოთეკის საცნობა-

რო-ბიბლიოგრაფიულმა განყოფილებამ ფილიალის მუშაკებზე უკრთხდა, მკითხველთა კონტინგენტისა და მათი ინტერესების შესწავლისა და საცნობარო მუშაობის ანალიზის შედეგად უნდა განსაზღვრონ ცალკეულ ფილიალებისათვის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის მოცულობა და მისი დაკომპლექტების წყაროები. ამასთან ფილიალების საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის ორგანიზაციას და დაკომპლექტებას ძალზე ფრთხილად უნდა მიუდგეთ, რომ ცენტრალური ბიბლიოთეკისა და ფილიალების საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის დაკომპლექტების ღროს არ მოხდეს დუბლირება.

მკითხველთა მომსახურება საცნობარო-ბიბლიოგრაფიული მასალებით, მათი რაციონალური და ეფექტური გამოყენება გვიყარნახებს, რომ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში შევადგინოთ სპეციალური „არქივი“ ან „ცნობის შესრულების ფონდი“, სადაც მოთავსდება შესრულებული წერილობითი პასუხები მეორადი გამოყენებისათვის. აქ უნდა მოთავსდეს შესრულების მხრივ ყველაზე უფრო შრომატევადი და რთულ კითხვებზე გაცემული წერილობითი ცნობები. ეს ცნობები (შეკითხვებზე გაცემული პასუხები) შევინახოთ დანომრილ საქალალდებში (კონვერტში ან სპეციალურ ყუთში). მათ შესახებ უნდა შედგეს საგნობრივ-ანბანური მაჩვენებელი. „არქივში“ ან „ცნობის შესრულების ფონდში“ მასალა განლაგდება საგნობრივ-ანბანის წესით. ამ მასალით კარტოთეკის ბარათზე დაწერება საქალალდის (კონვერტის ან სპეციალური ყუთის) ნომერი, რომელიც მიგვითოთებს იმ საქალალდეზე (კონვერტზე ან სპეციალურ ყუთზე), სადაც მითითებული იქნება ჩვენთვის საჭირო მასალა განმეორებითი პასუხის გასაცემად. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა გაცემული პასუხი არ იქნება შენახული. საჭიროა მათი შერჩევა თემის მნიშვნელობისა და მოსალოდნელი შეკითხვების მიხედვით.

ამრიგად, საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციული  
მუშაობის მაღალი მაჩვენებლები მთლიანად დამოკიდებულია ცენ-  
ტრალური ბიბლიოთეკის სისტემის მთელ საცნობარო-ბიბლიოგრა-  
ფიული პარატის ორგანიზაციაზე და მის გამოყენებაზე, კოლექ-  
ტივის ენერგიულ მუშაობაზე, ცენტრალური ბიბლიოთეკის საცნო-  
ბარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების სწორ ხელმძღვანელობა-  
სა და კონტროლზე.

## საცნობარო-ბიბლიოგრაფიული მუჟაობა

ცენტრალური ბიბლიოთეკის ერთიან საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის ბაზაზე წარმოებს მკითხველთა საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მომსახურება. მყარდება ბიბლიოგრაფიის განყოფილებასა და ფილიალებს შორის ყოველდღიური კავშირურთიერთობა. რთული ბიბლიოგრაფიული ცნობების მომზადების დროს ფილიალები მიმართავენ ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიულ განყოფილებას დასახმარებლად. იმ შემთხვევაში, თუ ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული განყოფილებაც ვერ შესძლებს მკითხველთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, მაშინ ის მიმართავს რესპუბლიკურ, საოლქო ან სპეციალურ სამეცნიერო დაწესებულებების ბიბლიოთეკებს დასახმარებისათვის. ასე იქმნება ერთგვარი საფრენურებრივი თანმიმდევრობა ბიბლიოგრაფიული ცნობების შესრულებაში.

„ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის მუშაობის ტექნიკაში“ აღნიშნული საკითხი შემდეგნაირადაა განმარტებული „საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ მუშაობას, მკითხველთა მომსახურე ყველა სტრუქტურული ქვეგანაყოფი აწარმოებს მათი ბიბლიოგრაფიული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ისინი თავიანთ ფონდსა და საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ აპარატს იყენებენ. იმ ბიბლიოგრაფიულ მოთხოვნილებებს, რომლებიც მთელი სისტემის ფონდის, კატალოგებისა და კარტოთეკების გამოყენებას საჭიროებენ შესასრულებლად ცენტრალურ ბიბლიოთეკის საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიულ განყოფილებას უგზავნიან. იმ ბიბლიოგრაფიულ ცნობებს, რომლებსაც საინფორმაციო ბიბლიოგრაფიული განყოფილება ვერ ძლევს კოორდინაციით ქალაქის, რაიონის ბიბლიოთეკებს ან საოლქო ბიბლიოთეკას გადაეგზავნება“.

ჩვენი რესპუბლიკის ცენტრალური ბიბლიოთეკების საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილებების მუშაობაში ვერ კიდევ არის ხარვეზები, და არც შეიძლება, რომ არ იყოს, რადგან ისინი ახლად ორგანიზებულია. ახლად ორგანიზებულ დაწესებულებას და ყოველ ახალ წამოწყებას კი თან ახლავს ნაკლოვანი და ვერ კიდევ გადაეჭრელი საკითხები. მაგალითად, ზოგიერთი ცენტრალური ბიბლიოთეკის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატი სათანადოდ

არ არის დაკომპლექტებული შესაბამისი ლიტერატურით, არ ჰქვეფის  
შედგენილი უურნალ-გაზეთების სტატიების საერთო კარტოთეკა,  
„არქივი“. ბიბლიოგრაფიული განყოფილების მუშაკები ნაკლებ უუ-  
რადღებას აქცევენ ფილიალების საცნობარო-ბიბლიოგრაფიული  
აპარატის ორგანიზებას და მის დაკომპლექტებას, ნაკლებად მიღიან  
ადგილებზე დახმარების გასაწევად, მკითხველებზე გაცემული ცნო-  
ბები სათანადოდ არ არის აღრიცხული. მათი მუშაობის პრაქტი-  
კაში ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა ფილიალები ცენტრალურ  
ბიბლიოთეკაში ან სულ არ გზავნიან მკითხველთა მოთხოვნილებებს  
ან და გზავნიან ისეთ შეკითხვებს, რომლებზედაც თვითონ შეუძ-  
ლიათ პასუხის გაცემა. ჯერ კიდევ ადგილი აქვს ფორმალიზმს, რა-  
საც შემდგომში უთუოდ სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

ბიბლიოგრაფიული ცნობების გაცემა შეიძლება შოხდეს: ზე-  
პირად, წერილობით და ტელეფონის საშუალებით.

ბიბლიოთეკაში შეკითხვები შემოდის როგორც მკითხველები-  
საგან, ისე პარტიულ, საბჭოთა, კომეკშირულ, პროფესიულულ და  
სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებიდან. პირველ რიგში პასუხი  
უნდა გავცეთ პარტიულ, საბჭოთა, კომეკშირულ და საზოგადო-  
ებრივ ორგანიზაციებს და მკითხველთა ისეთ შეკითხვებს, რომლებ-  
საც უშუალო კავშირი აქვთ საწარმოო საქმიანობასთან.

საცნობარო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის ხარისხის ამაღლე-  
ბის მიზნით აუცილებელია. შესრულებული ცნობების, როგორც  
რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი ანალიზის ჩატარება. მუშაობის  
ჩატარების ვადებს, გასაანალიზებელ ცნობების შერჩევის ჩარჩო-  
ებს ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემა განსაზღვრავს. გან-  
საკუთრებულად რთული თემატიკის მიხედვით იშვიათი ცნობების  
ანალიზი მიზანშეწონილია გაკეთდეს გადაუდებლად, ყოველ კვი-  
რის ბოლოს.

ცენტრალურ ბიბლიოთეკის განყოფილებებიდან, ბიბლიოთე-  
კა-ფილიალებიდან ყოველი თვის ბოლოს საცნობარო-ბიბლიოგრა-  
ფიულ განყოფილებაში აგზავნიან ცნობებს საცნობარო-ბიბლიო-  
გრაფიული მუშაობის შესახებ, რომელიც შეჯამებული სახით ცენ-  
ტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის ყოველკვარტალურ და  
წლიურ ანგარიშებში აისახება.

## საინფორმაციო მუზეუმი

ცენტრალური ბიბლიოთეკის მიერ მკითხველთა უკეთ მომსახურების ერთ-ერთ აქტუალურ ფორმას წარმოადგენს საინფორმაციო მუშაობა. მისი მთავარი მიზანია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებების პროპაგანდა, მოსახლეობის ფართო ფენებამდე მათი დაყვანა, მშრომელი მასების პროფესიული კვალიფიკაციის და საერთო ცოდნის დონის ამაღლება, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების განხოგადობა, მათი პოპულარიზაცია და პრაქტიკაში დანერგვა. ბიბლიოთეკაში საინფორმაციო მუშაობა განუხრელადა დაკავშირებული მკითხველთა კითხვის ხელმძღვანელობასა და მასობრივ მუშაობასთან.

იმ ცენტრალურ ბიბლიოთეკებში, სადაც კარგად არის დაყენებული საინფორმაციო მუშაობა, გაადვილებულია მკითხველთა მომსახურება და მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება წიგნზე.

ჩვენ ქვეყანაში ყოველწლიურად ათეული ათასობით სახელწოდების მილიონი ტიტანით წიგნი გამოდის. ცენტრალური ბიბლიოთეკის სისტემის მუშაკთა ამოცანაა დაეხმაროს მკითხველებს გაერკვნენ ლიტერატურის ამ უწყვეტ დინებაში, აცნობონ მათ რა წიგნებია მიღებული ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. და მის ფილიალებში.

ამ მიზნით ცენტრალურმა ბიბლიოთეკებმა უნდა გამოიყენონ საინფორმაციო მუშაობის არსებული ფორმები, და მეთოდები, რომლებმაც ცენტრალიზაციის პირობებშიც პრაქტიკულად გაამართლეს თავიანთი მიზანდასახულობა. მაგრამ არის ისეთი ფორმებიც, რომლებიც წიგნის პროპაგანდის ახალ ფორმებთან ერთად გამოიყენება და უფრო ეფექტური გახდა. მაგალითად, ლიტერატურის გამოფენა და მიმოხილვები, ხშირად ეწყობა ისეთ ახალ ლონისძიებებთან ერთად როგორიცაა: „ინფორმაციის დღე“, „სპეციალისტების დღე“, „ლიტერატურის გამოფენა-დათვალიერება“, „ბიბლიოგრაფიის დღე“ და სხვ. მათ კომპლექსური ხსიათი მიიღეს.

ბიბლიოთეკებში საინფორმაციო მუშაობა სწარმოებს სამი მიმართულებით. მასობრივი, ჯგუფური და ინდივიდუალური, რო-

di. ვასილე  
სახელი  
ა. სახელი  
ა. სახელი  
ა. სახელი

გორც ბიბლიოთეკის შენობაში ისე მის გარეთ. ამ საქმის განხორციელებისათვის ბიბლიოთეკაში უნდა გამოიყენოს ისეთი ფორმები და მეთოდები, როგორიცაა: „ახალი ლიტერატურის საინფორმაციო ბიულეტენი“, „სარეკომენდაციო სიები“, „ახლად შემოსული წიგნების გამოფენა-დათვალიერება“, „წიგნის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა“, ახლად შემოსული წიგნების შესახებ ცნობების (შეტყობინების) დაგზავნა“, „საქალალდეები“, „კითხვა-პასუხის სალამო“, რისთვისაც უნდა გამოიყენოს აღვილობრივი პრესა, რაღიც და სხვა ტექნიკური საშუალებანი.

ცენტრალურმა ბიბლიოთეკებმა თავიანთი ფილიალებით, მუშაობა უნდა აწარმოონ არა მარტო მკითხველებთან, არამედ ისინი უნდა ცდილობდნენ გამოავლინონ მიკრორაიონის (რეგიონის) მრეწველობის, სოფლის მეურნეობის განვითარების მთავარი მიმართულებები, გაეცნონ მათ გეგმიურ დავალებებს და ამის მიხედვით წარმართონ საინფორმაციო მუშაობა, დაეხმარონ სპეციალისტებს, მუშებს, სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს გეგმების გადაჭარებით შესრულების საქმეში.

ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის მრავალრიცხოვან მკითხველებს შეადგენენ საწარმოებებისა და სოფლის მეურნეობების მუშები, რომლებიც სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში დაუსწრებლად. ესენი და სხვა კატეგორიის მკითხველებიც აქტიურად კითხულობენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ტექნიკურ და ეკონომიკურ წიგნებს. ამიტომ ცენტრალიზებული სისტემის ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდები უნდა პასუხობდეს მათ მოთხოვნილებებს.

ახლად მიღებული წიგნების შესახებ ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული განყოფილების მუშაკებმა უნდა შეადგინონ „საინფორმაციო ბიულეტენი“, სადაც აისახება ყოველთვიურად (ან კვარტალებად) ბიბლიოთეკაში შემოსული ყველა დარგის წიგნები, შერჩევით.

„ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის მუშაობის „ტექნიკაში“ აღნიშნულია, რომ საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება აღგენს ახლად მიღებული ლიტერატურის „ბიულეტენს“. იგი შეიცავს გარკვეული პერიოდის განმავლობაში ცენტრა-

ლიზებული საბიბლიოთეკო სისტემაში შემოსული წიგნების აღწერილობას. საინფორმაციო „ბიულეტენში“ წიგნები დალაგდება სისტემატური წესით. აღწერილობას უნდა დაესვას შესაბამისი შიფრი და აღინიშნოს წიგნის აღვილსამყოფელი.

ჩვენი რესპუბლიკის ცენტრალური ბიბლიოთეკების უმრავლესობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ „საინფორმაციო ბიულეტენების“ შედგენას ცენტრალიზაციაზე გადასვლის დღიდანვე სერიოზულად მოჰკიდეს ხელი და სათანადო მიღწევებიც აქვთ ამ მიმართებით. მაგალითად, ამ მხრივ სათანადო მუშაობას ეწევიან ქ. ქუთაისის, ქ. ბათუმის, ქ. ფოთის, ქ. გორის, თელავის, გურჯაანის, გორის, ბორჯომის, საჩხერის, სამტრედიის, ჭიათურის, ზესტაფონის და სხვა ცენტრალური რაიონული და საქალაქო ბიბლიოთეკების საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილებები.

რესპუბლიკის ცენტრალური ბიბლიოთეკების უმცირესი ნაწილი უკვე გადაიქცა მიკრორაიონის (რეგიონის) საინფორმაციო ცენტრად. ისინი უზრუნველყოფენ სხვადასხვა ჯუფის მკითხველთა მომსახურებას ახალი წიგნების საინფორმაციო ბიულეტენებით, სარეკომენდაციო სიებით, კითხვის გეგმებით და სხვა საინფორმაციო მასალებით. მკითხველებს და ცალკეულ საწარმოებს ეგზავნებათ შეტყობინებები ახლად მიღებული წიგნების შესახებ და ა. შ.

საინფორმაციო ბიულეტენები და სარეკომენდაციო სიები, იბეჭდება სტამბურად და იგზავნება მიკრორაიონის მსხვილ საწარმო-დაწესებულებებში, ქარხნებში, ფაბრიკებში, სასოფლო-სამეურნეო ბრიგადებში, ფერმებში, საბჭოთა მეურნეობებში, სისტემის ბიბლიოთეკა-ფილიალებში და სხვა უწყების ბიბლიოთეკებში.

საინფორმაციო ბიულეტენებში და სიებში ასახულია ცოდნის ყველა დარგის წიგნები, გარდა მხატვრული ლიტერატურისა. მხატვრული ლიტერატურა, ზოგიერთ ბიბლიოთეკებს არ შეაქვთ „ბიულეტენში“ იმის გამო, რომ თითქოს იგი გაზრდის ბიულეტენის“ მოცულობას. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ მხატვრული ლიტერატურის გარეშე დაბეჭდილი „ბიულეტენები“ საქმაოდ ღარიბად გამოიყრება და ასუსტებს მის ეფექტურობას და ხარისხს. აქეთ უნდა მიუთითოთ, რომ მხატვრული ლიტერატურა ყველა დარგის და პროფილის მკითხველს სჭირდება. გარდა ამისა, საინფორმაციო ბი-

ულეტენებში და სარეკომენდაციო სიებში დასახელებული წიგნები არ არის ანოტირებული.

მეთოდური წერილის მოცულობის გამო, ყველა ცენტრალური ბიბლიოთეკის მიერ გამოცემულ ახალი წიგნების საინფორმაციო ბიულეტენების და სიების მოტანა აქ შეუძლებელია. მაგრამ, შევეცდებით მოვიტანოთ რამდენიმე მათგანი შემოკლებით.

მაგალითად, ჭიათურის ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული განყოფილების მიერ სტამბურად დაბეჭდილი საინფორმაციო „ბიულეტენში“ დასახელებულია სხვადასხვა დარგის 52 სახელწოდების წიგნი. ლიტერატურა „ბიულეტენში“ დალაგებულია სისტემატური წესით და მოიცავს შემდეგ განყოფილებებს: „საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურა“, „ბუნებისმეტყველება მათემატიკა და მეცნიერება“, „ტექნიკა“, „სოფულის მეურნეობა“, „ხელოვნება“, „ფიზიკულტურა და სპორტი“, „ლიტერატურათმცოდნეობა“ და „ისტორია“ თითოეულ განყოფილებაში დასახელებულია 4-დან 7 წიგნამდე.

გორისა და თელავის ცენტრალური ბიბლიოთეკების ბიბლიოგრაფიული განყოფილებები, გარდა სისტემატური წესით გამოშვებული ახალი წიგნების საერთო საინფორმაციო ბიულეტენების გამოშვებისა, უშვებენ აგრეთვე კონკრეტულ თემებზე საინფორმაციო „ბიულეტენებს“ მაგალითად, თელავის რაიონის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ დაბეჭდა და დაუგზავნა სათანადო ორგანიზაციებს და ბიბლიოთეკა-ფილიალებს საინფორმაციო ბიულეტენი თემაზე „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავი“. მასში დასახელებულია 60-ზე მეტი წიგნი ქართულ და რუსულ ენაზე. აქ გამოყოფილია რუბრიკები: „სკპ. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება პარტიის შესახებ“, „სკპ ისტორია“, „ბოლშევიკური პარტია 1905—1907 წლების რევოლუციაში“, 1917 წლის ბურჟუაზიული რევოლუცია რუსეთში“, „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება“, „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა“. გარდა ამისა გამოცემულია საინფორმაციო ბიულეტენი თემებზე: „სოფულის მეურნეობის მუშავთა დასახმარებლად“, „ფიზიკური კულტუ-

რისა და სპორტის მოყვარულთათვის“, „თქვენთვის ტექნიკის მუშაკებო“ და სხვ.

ახალი წიგნების თემატურ საინფორმაციო ბიულეტენს აღგენს გორის ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული განყოფილება. მათი ჩამოთვლაც კი იმის წარმოდგენას მოგვცემს თუ რა დიდ მუშაობას აწარმოებს ბიბლიოთეკა ახლად მიღებული წიგნების ინფორმაციის მიზნით. მაგალითად, საინფორმაციო ბიულეტენები გამოცემულია თემებზე: „თქვენთვის ტექნიკის მუშაკებო“, „თქვენთვის მედიცინის მუშაკებო“, „სოფლის მეურნეობის მუშაკთა დასახმარებლად“, „პედაგოგთა დასახმარებლად“, „მოსწავლეთა დასახმარებლად“ და სხვ.

საინფორმაციო ბიულეტენში „თქვენთვის ტექნიკის მუშაკებო“ გამოყოფილია რუბრიკები: „წარმოების მართვა“, „ტრანსპორტი“, „ენერგეტიკა“ და ა. შ. ხოლო „მოსწავლეთა დასახმარებლად“ შედგენილი საინფორმაციო ბიულეტენში კი წიგნები დასახელებულია მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით. წიგნები მოცემულია ქართულ და რუსულ ენებზე. ასეთივე მაგალითების მოტანა შეიძლება გურჯაანის ცენტრალურ ბიბლიოთეკიდან, რომელსაც გამოშევბული აქვს „ბიულეტენები“ თემებზე: „საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურა“, „ისტორია“, „სოფლის მეურნეობა“, „ტექნიკა“, „ენათმეცნიერება“, „ლიტერატურათმცოდნეობა“ და სხვ.

გორის რაიონულ ცენტრალურ ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიულ განყოფილებას საინფორმაციო ბიულეტენებისა და სიების გარდა შედგენილი აქვს კითხვის გეგმები თემებზე: „მეხილეობა“, „მევენახეობა“, სამოქალაქო თავდაცვა“ და სხვ.

ზემოთ ჩამოთვლილი საინფორმაციო ბიულეტენები და სიები უნაჯლო არ არის, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ რესპუბლიკის ცენტრალურ ბიბლიოთეკებში ნაყოფიერი მუშაობაა გაშლილი ამ მიმართებით და ბევრი რამ არის გაკეთებული.

ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული განყოფილების ერთ-ერთ პასუხსაგებ უბანს წარმოადგენს სარეკომენდაციო სიებისა და კითხვის გეგმების შედგენა, რაც უთუოდ სერიოზული მუშაობას მოითხოვს. მათზე მომუშავე ბიბლიოგრაფები და ბიბლიოთეკის სხვა მუშაკები კარგად უნდა იცნობდნენ ლიტერატურას,



მკითხველთა ინტერესებს, მათ ცოდნის დონეს, საწარმოულებელთა ნობას, მისწრაფებას და ინტერესებს. საინფორმაციო ბიულეტენების, სიების და კითხვის გეგმების შედგენის დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ყველაზე მთავარი მოთხოვნა. სახელღობრი ის, რომ პირველ რიგში მათში აისახოს მარქსისმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომები, სკპ და საბჭოთა მთავრობის სადირექტივო მასალები; რომლებიც აღნიშნულ თემას შეეხება, შემდეგ კი თემის იმპლიკ გამოსული ყველაზე აქტუალური ლიტერატურა.

მკითხველთა საინფორმაციო მომსახურების ერთ-ერთ მოქნილ, თვალსაჩინო და მისაწვდომ ფორმას წარმოადგენს ლიტერატურის ღია გამოფენა-დათვალიერება, რომელიც ახალი წიგნების შემოსვლასთან დაკავშირებით სისტემატურად უნდა იცვლებოდეს. გამოფენა-დათვალიერებაზე მკითხველს „შეუძლია. თვალსაჩინოდ შეხედოს წიგნს, შეეხოს მას, ჩამოიღოს გამოფენის ფარიდან, გადა-ათვალიეროს და შესაძლოა თვალის ერთი გადავლებით, ბიბლიო-გრაფიულად წაიკითხოს იგი, გაეცნოს ილუსტრაციებს“ დაინტერესდეს წიგნით და აღეძრას მისი წაკითხვის სურვილი.

„ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის მუშაობის ტექ-ნიკაში“ აღნიშნულია, რომ გამოფენა-დათვალიერების და თემატური გამოფენების ორგანიზაციის საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება ფონდების ორგანიზაციის და გამოყენების გან-ყოფილებასთან ერთად გეგმავს ექსპოზიციის მკაცრი პერიოდულობითა და მათი ხანგრძლივობით 3-დან 10 დღემდე. ყოველ საექს-პოზიციო წიგნში დებენ ბარათს, რომელზეც მკითხველი თავისი ფორმულიარის ნომერს აწერს. ბიბლიოთეკარი აჯამებს თითოეული გამოცემის მოთხოვნილებას, ადგენს რიგს მის მიღებაზე და აფორმებს შეკვეთებს.

ლიტერატურის გამოფენები საერთოდ ახალი არ არის ბიბლიოთეკებისათვის. მაგრამ ცენტრალურ ბიბლიოთეკას უკეთესი პირობები შეექმნა გამოფენის მოწყობისა და მისი გაფორმებისათვის, საშტატო ერთეულის მხატვარ-ბიბლიოთეკარის გამოყოფის სახით. ღია გამოფენა-დათვალიერება ისე უნდა მოეწყოს, რომ იგი ემსახურებოდეს ძირითად მიზანს — მკითხველთა ყურადღების



მიპყრობას. გამოფენის ფარი ლამაზად და მიმზიდველად უნდა იყოს გაფორმებული.

ლიტერატურის ღია გამოფენა-დათვალიერების მთავარი ღირსება ის არის, რომ იგი ყოველმხრივ ხსნის ფონდში ახლად შემოსულ საუკეთესო ლიტერატურას და აახლოვებს მას მკითხველებთან. ღია გამოფენა-დათვალიერება მკითხველებს ფართო შესაძლებლობას უქმნის გაეცნონ სხვადასხვა ცოდნის დარგის ლიტერატურას, პროფილის შესაბამის წიგნებს, რომელთა მიღება მათ შეუძლიათ ცენტრალური ბიბლიოთეკის ან უახლოესი ფილიალის ფონდიდან.

ცენტრალური ბიბლიოთეკის „საინფორმაციო მუშაობის ერთერთ ახალ ფორმას წარმოადგენს „ინფორმაციის დღის“ დაწესება.

ეს ფორმა ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში უკვე დაწესებულია და კარგ შედეგს იძლევა. მკითხველები ამ დღეს მოისმენენ ინფორმაციას ბიბლიოთეკაში ახლად შემოსული წიგნების შესახებ. ნახავენ გამოფენას, გაეცნობიან ბიბლიოგრაფიულ წყაროებს, კარტოთეკებს, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესებს და მისთვის საჭირო საკითხებს.

„ინფორმაციის დღე“ დაწესებული უნდა იყოს თვის გარკვეულ რიცხვში. „ინფორმაციის დღის“ დაწესების შესახებ უნდა ეცნობოთ მკითხველებს განცხადების საშუალებით. ეს განცხადება (ან შეტყობინება) დაიგზავნება რეგიონის მსხვილ საწარმოო-დაწესებულებებში, ბიბლიოთეკა-ფილიალებში, გაიკვრება თვალსაჩინო აღგილებში, კლუბებში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციის შენობაში, სასურველია გამოქვეყნდეს ადგილობრივ პრესაში, გადაიცეს რადიოთი და სხვ. მოვიყვანთ თელავის და გორის ცენტრალური ბიბლიოთეკების მიერ შედგენილ და ბეჭდურად გამოცემულ საინფორმაციო ცნობას (შეტყობინებას) „ინფორმაციის დღის“ შესახებ.

### პატივცემულო მკითხველო!

„თელავის ცენტრალური ბიბლიოთეკა ყოველი თვის ბოლო ოთხშაბათს ატარებს „ინფორმაციის დღეს“. ამ დღეს მკითხველები გაეცნობიან ახალ წიგნებს, პერი-

რდულ გამოცემებს, ბიბლიოგრაფიულ წყაროებს და წიგნების ბეჭდურ ბარათებს, სტატიებს და რეცენზიებს. ინფორმაციის დღე ჩატარდება დილის 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში“.

სასურველია მიმართვას თან ერთვოდეს ცენტრალური ბიბლიოთეკის მისამართი, რადგან შესაძლოა რაიონის ყველა მოსახლემ არ იცოდეს ბიბლიოთეკის მისამართი.

ასეთივე განცხადება აქვს გაფორმებული გორის საქალაქო ცენტრალურ ბიბლიოთეკას ქართულ-რუსულ ენაზე.

### პატივცემულობრივი მკითხველობა!

„გორის ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკა ყოველი თვის პირველ პარასკევის აწყობს

„ინფორმაციის დღეს“

ამ დღეს მკითხველი გაეცნობა ბიბლიოთეკაში შემოსულ ახალ ლიტერატურას, პერიოდულ გამოცემებს, მეთოდურ სახელმძღვანელოებს, ბიბლიოგრაფიულ წყაროებს, სტატიებს და რეცენზიებს.

„ინფორმაციის დღე“ მოეწყობა 10-დან 19 საათამდე ცენტრალურ საქალაქო ბიბლიოთეკაში“.

მისამართი: 1905 წ. რევოლუციის ქუჩა № 4

ტელ. 28-35

ასეთივე მაგალითების მოყვანა შეიძლება ქ. ფოთის, ბათუმის, ქუთაისის და სხვა ცენტრალური ბიბლიოთეკებიდან.

ცენტრალურ ბიბლიოთეკებში ინერგება საინფორმაციო მუშაობის ახალი ფორმა — „სპეციალისტის დღის“ დაწესება. ამ დღეს სპეციალისტი მკითხველები ბიბლიოთეკაში გაეცნობიან ლიტერატურას ტექნიკის სიახლეების შესახებ, მეცნიერებისა და კულტურის მიღწევების შესახებ; სპეციალურ და დარგობრივ საკითხებზე გამოსულ ახალ წიგნებს და სხვ. ამ მიმართებით გარკვეული მუშაობა სწარმოებს ქ. ქუთაისის, ქ. გორის, საჩხერის, თელავისა და სხვა



რაძონების ცენტრალურ ბიბლიოთეკებში. ჩესპუბლიკის ყმაზე მართვა ბიბლიოთეკამ უნდა დანერგონ პროპაგანდის ეს ახალი მეტად საჭირო ფრრმები თავიანთ მუშაობაში. სასურველია თუ „სპეციალისტის დღის“ ორგანიზაცია მოეწყობა სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკებისა და საინფორმაციო ორგანიზაციებთან ერთობლივად.

„საინსტრუქციო მეთოდურ მასალებში“ ნათქვამია — „ახალი ლიტერატურის“ თავისუფალი დათვალიერება“, „ინფორმაციის დღე“, „სპეციალისტის დღე“ საინფორმაციო მომსახურებისათვის შედატებით ახალი ფორმებია, რომლებსაც მასობრივი ბიბლიოთეკები მიმართავენ. ეს ღონისძიებები ტარდება წინასწარ გამოვლენილი თემების მიხედვით მკითხველთა საწარმოო მოთხოვნილებების გათვალისწინებით“.

როგორც აქედან ჩანს, ამ ღონისძიებების ჩატარება უნდა მოხდეს წინასწარ შერჩეული თემების მიხედვით, იმ ანგარიშით, რომ გათვალისწინებული იყოს მკითხველთა ინტერესები, მათი პროფილური მოთხოვნილებები და ადგილობრივი პირობები.

ცენტრალიზებულ ბიბლიოთეკებში ლიტერატურის პროპაგანდის ერთ-ერთ საუკეთესო ფორმას წარმოადგენს წიგნის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა. წიგნის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა — ეს არის მკითხველთა შორის წიგნის შესახებ მოკლედ და კონკრეტულ საკითხებზე საუბარი. იგი ძირითადად უნდა მომზადდეს განყოფილების მუშაქების მიერ. უფრო კვალიფიციური და სპეციალისტი მკითხველებისათვის მიმოხილვები სასურველია მომზადდეს და ჩატარდეს სპეციალისტების დახმარებით და მათი უშუალო მონაწილეობით.

წიგნის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები შეიძლება ჩატარდეს როგორც ბიბლიოთეკაში, ისე ბიბლიოთეკის გარეთაც: ქარხნებში, ბრიგადებში, ფერმებში, ცალკეულ საწარმოო დაწესებულებებში, როგორც ცალკე, ისე სხვა ღონისძიებასთან ერთად.

ჩვენი ჩესპუბლიკის ზოგიერთი ცენტრალური ბიბლიოთეკა და მათი ფილიალები, ხშირ შემთხვევაში, წიგნის ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვებს ატარებენ მკითხველთა პროფილის, ცოდნის დონის და მათი მოთხოვნილების გაუთვალისწინებლად. ასეთი მიმო-

ხილვა არ იძლევა სასურველ ეფექტს. პირიქით, იწვევს მკითხველ-  
თა ერთი ნაწილის უარყოფით დამოკიდებულებას ასეთ ღონისძიებაზე  
ბისადმი. რა თქმა უნდა ამ მეთოდით წიგნის ბიბლიოგრაფიული მი-  
მოხილვის ჩატარება არ იქნება ეფექტური და სასურველ შედეგს  
ვერ გამოიღებს. წიგნის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები უნდა ჩა-  
ტარდეს აუცილებლად მკითხველთა ცალკე ჯგუფების, მათი განათ-  
ლების, მუშაობის პროფილის და ინტერესების გათვალისწინებით:

წიგნის თემატურ ბიბლიოგრაფიული მიმოხილვის მომზადება  
იწყება თემის განსაზღვრით. პირველ რიგში უნდა შეიჩინა ისეთი  
თემა, რომელიც შეესაბამება მკითხველთა გარკვეული ჯგუფის ინ-  
ტერესებს. მათი მუშაობის პროფილს.

ავილოთ მიმოხილვის ორი მაგალითი რომელთა თემატიკა წაა-  
გვს ერთმანეთს: „ელექტროენერგიის თვითღირებულების შემცი-  
რების საკითხები“ და „ელექტროენერგიის გამოყენება სოფლის  
მეურნეობაში“. პირველ შემთხვევაში მკითხველებს აინტერესებთ  
ელექტროენერგიის თვითღირებულება, მისი სტრუქტურა და დი-  
ნამიკა, მისი შემცირების გზები. ეს საკითხი ყველაზე მეტად აინ-  
ტერესებთ ელექტროსადგურების მუშა-მოსამსახურებს და მათ-  
თან უნდა ჩატარდეს ამ საკითხზე არსებული წიგნების ბიბლიოგრა-  
ფიული მიმოხილვა, ხოლო მეორე შემთხვევაში წინა პლანზე წამო-  
წეული უნდა იყოს ელექტროენერგიის პრაქტიკული გამოყენება  
სოფლის მეურნეობაში. ეს საკითხი სოფლის მეურნეობის მუშაკე-  
ბისათვისაა საჭირო და სწორედ მათთან უნდა ჩატარდეს ასეთი  
წიგნების მიმოხილვები.

ლიტერატურის თემატურ ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვისათ-  
ვის გათვალისწინებული წიგნების რაოდენობა დამოკიდებულია:  
თემაზე, მკითხველთა კონტინგენტზე, ვისთან ვატარებთ მიმოხილ-  
ვას და თემის ირგვლივ ფონდში არსებული ლიტერატურის რაო-  
დენობაზე. გარდა ამისა საჭიროა ვიცოდეთ, რომ რაც უფრო კვა-  
ლიფიციური მკითხველისათვისა და სპეციალისტებისათვის • მზად-  
დება მიმოხილვა, მით უფრო მეტი წიგნების რაოდენობა შეიძლე-  
ბა შეიჩინა, ხოლო თუ მიმოხილვები მზადდება დაბალი განათლე-  
ბის მკითხველებისათვის, მაშინ წიგნების რაოდენობა უფრო ნაკ-  
ლები იქნება.



ლიტერატურის თემატიკის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვების  
დროს ზოგიერთი კატეგორიის მკითხველთა ჯგუფისათვის შესტანილი  
ლოდ დაგვჭირდეს თემის შინაარსის მოკლე განმარტება და მისი  
მნიშვნელობა, ხოლო უფრო მაღალი განათლების მკითხველთა ჯგუ-  
ფისათვის და სპეციალისტებისათვის, ცხადია ასეთი განმარტება არ  
იქნება საჭირო და შეიძლება დავიწყოთ პირდაპირ კონკრეტული  
წიგნის მიმოხილვით.

ერთგვარი თავისებურებით ხასიათდება ბიბლიოთეკაში ახლად  
შემოსული წიგნების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა. თემატიკი მი-  
მოხილვისაგან განსხვავებით ახალი წიგნების მიმოხილვა მოიცავს  
უფრო მეტი რაოდენობის წიგნებს, ამასთან იგი უნივერსალური ხა-  
სიათისაა — მოიცავს რამდენიმე თემას. იცვლება მიმოხილვის შესა-  
ვალი ნაწილიც. იგი დაყვანილი უნდა იყოს ორ-სამ წინადადებამდე.  
სახელდობრ შესავალ ნაწილში განმარტებული იქნება თუ როდის  
შემოვიდა წიგნი ბიბლიოთეკაში და ცოდნის რომელ დარგს მიეკუ-  
თვნება იგი.

ახლად შემოსული ლიტერატურის მიმოხილვისათვის შერჩეუ-  
ლი წიგნები უნდა დავაგუფოთ ცოდნის დარგების მიხედვით. ახა-  
ლი წიგნების მიმოხილვა უნდა დავიწყოთ საზოგადოებრივ-პოლი-  
ტიკური ლიტერატურით, შემდეგ მიმოვინილოთ საწარმო-ტექნი-  
კური, სასოფლო-სამეურნეო და ბოლოს მხატვრული ლიტერატურა.

მიმოხილვისათვის ტექსტის შედგენის დროს საჭიროა გამოვი-  
ყენოთ თვით წიგნის თავფურცელზე მოცემული ანოტაცია; ბეჭე-  
დურ საკატალოგო ბარათზე მოცემული ანოტაცია, კრიტიკული წე-  
რილები, რეცენზიები, საცნობარო ბიბლიოგრაფიული წყაროები,  
წიგნის სარჩევი და სხვ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბეჭედურ ბა-  
რათებზე მოცემული ანოტაციები ყოველთვის არ გამოდგება მიმო-  
ხილვის ტექსტის შედგენისათვის მისი შეზღუდულობის გამ.

წიგნის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვის ტექსტის შედგენის  
დროს უნდა გამოვიყენოთ, აგრეთვე წიგნის შესახებ საგამომცემლო  
გეგმებში მოცემული ანოტაციები, სადაც შედარებით უფრო სრუ-  
ლად, და კარგად არის გაშუქებული წიგნში განხილული საკითხები  
და ვისთვის არის განკუთვნილი წიგნი.

წიგნის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვის წარმატება ბევრად



არის დამოკიდებული ბიბლიოთეკის მოხერხებულობაში, მის შემთხვევაში ნასა და გადაცემის უნარზე. მიმომხილველს უნდა შეეძლოს მიმოხილვის პერიოდშივე შეამოკლოს ან გააფართოვოს წიგნის მიმოხილვა. წიგნის მიმოხილვის ტექსტი ბიბლიოთეკაში უნდა ინახებოდეს.

ცენტრალურ ბიბლიოთეკების მუშაობის პრაქტიკაში წიგნის ბიბლიოგრაფიული მიმოხილვისათვის იყენებენ ადგილობრივ გაზეთებს და ტექნიკურ საშუალებებს (რადიოს, ტელევიზიას, ხმის ჩამწერს და სხვ.). წიგნის პროპაგანდის ეს საშუალებები ბიბლიოთეკებში აუცილებლად უნდა იყოს გამრყენებული. ამ მხრივ სათანადოდ მუშაობენ ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთი ცენტრალური ბიბლიოთეკის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილებები. (ქუთაისი, თელავი, ქ. გორი და სხვ.). მაგალითად, გორის ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება სისტემატურად აქვეყნებს ადგილობრივ გაზეთ „გამარჯვების“ ფურცლებზე ლიტერატურის თემატურ მიმოხილვებს: ასეთ საკითხებზე: „კვების მრეწველობის მუშაკთათვის“, „ტრადიციები. რა დავგმოთ, რა შევინარჩუნოთ“, „თქვენთვის წარმოების მუშაკებო“, „ახალი წიგნები თეატრზე“ და სხვ.

მოვიტან გაზეთიდან ერთ-ერთ მათგანის სრულ ამონაწერს. სახელდობრ:

### თქვენთვის წარმოების მუშაკებო!

„მეხუთე ხუთწლედის წარმატებით გადაჭრისათვის წარმოებაში მომუშავე სპეციალისტებისა და წარმოების ჰელმძღვანელთა დასახმარებლად, მეტად საჭირო წიგნები მიიღო ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ და ფილიალებმა. გავეცნოთ რამდენიმე მათგანს:

1) ჩიქავა ლეო — მეათე ხუთწლედის მთავარი ამოცანა და მისი გადაჭრის გზები თბ., „საბჭოთა საქართველო“. 1977. 84 გვ.

ნაშრომში მდიდარი მასალის გაანალიზებისა და მაჩ-



ვენებელთა ურთიერთშედარების საფუძველზე განხილულია მეოთე ხუთწლედში სოციალური განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების კომპლექსური პროგრამა, აგრეთვე მისი განხორციელების კონკრეტული გზები და საშუალებები. განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება საზოგადოებრივი წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე.

2) ძნელაძე დავითი — სამრეწველო პროდუქციის ხარისხის მართვა . თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1977. 109. გვ.

ნაშრომში გაშუქებულია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ეკონომიკური მნიშვნელობა თანამედროვე ეტაპზე. გაანალიზებულია ხარისხის მართვის მოქმედი სისტემები სამრეწველო საწარმოსა და გაერთიანებებში. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი დაგეგმვის სრულყოფის მატერიალური და მორალური სტიმულირების, აგრეთვე მოწინავე საწარმოთა გამოცდილების განზოგადოებისა და დანერგვის საკითხებს.

3) ჩხარტიშვილი ხ. — კომუნისტური შრომა და საზოგადოებრივი საკუთრება . თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1977. 97 გვ.

— მასში განსაზღვრულია შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების არსი, შრომის ხასიათი და შინაარსი, შრომითი შეჯიბრების, შრომის დისციპლინის თავისებურებანი სოციალიზმის პირობებში. ნაჩვენებია პარტიის საქმიანობა თანამედროვე ეტაპზე მშრომელებში შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების გამომუშავებისათვის.

4. გურგენიძე ვ. — შრომის მეცნიერული ორგანიზაცია სამუშაო ადგილზე . თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1977. 47 გვ.

მე-10 ხუთწლედი ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთ-



წლედია. ბროშურაში დახასიათებულია შრომის მეცნიერებული რული ორგანიზაციის ძირითადი საკითხები სამუშაო აღგილზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამუშაო აღგილზე შრომის მეცნიერული ორგანიზაციის შინაარსის, მისი აღჭურვის დაგეგმარებისა და მომსახურების საკითხთა განხილვას“.

## 5. დოლიაზვილი,

ცენტრალური საქალაქო ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგე.

ცენტრალურმა ბიბლიოთეკებმა და მისმა ფილიალებმა ახლად მიღებული ლიტერატურის შესახებ უნდა გამოიყენონ „შეტყობინების“ ფორმა. ამ ფორმას ამჟამად იყენებენ ქუთაისის, თელავის, საჩხერის, გორისა და სხვა რაიონის ცენტრალური ბიბლიოთეკები. შეტყობინებას უგზავნიან, როგორც საწარმოო-დაწესებულებებს, ისე ინდივიდუალურად მკითხველებს. მაგალითად, გორის რაიონის ცენტრალურ ბიბლიოთეკამ „საქსოფლტექნიკას“ გაუგზავნა შემდეგი შინაარსის შეტყობინება.

## საქსოფლტექნიკას

გორის ცენტრალურ რაიონულ ბიბლიოთეკას თავის ფონდში აქვს და პერიოდულად ღებულობს წიგნებს და ბროშურებს. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, კერძოდ ტრაქტორების რემონტისა და მოვლის შესახებ. საინტერესო სტატიები ქვეყნდება ურნალებში „მეცნიერება და ტექნიკა“, „საქართველოს სოფლის მეურნეობა“, „საქართველოს კომუნისტი“ და სხვ.

გარდა აღნიშნული ლიტერატურისა ბიბლიოთეკიდან თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ საჭირო ცნობები თქვენთვის საჭრო ლიტერატურაზე.

გთხოვთ მობრძანდეთ ბიბლიოთეკაში .

ბიბლიოთეკა ღიაა ყოველ დღე დღის 10 საათიდან საღამოს 7 საათამდე“.

ინდივიდუალური შეტყობინება გაეგზავნა მკითხველს, სოცია-  
 ლისტური შრომის გმირს ა. ღოლიჭაშვილს ასეთი შინაარსით:  
**პატ. ამ. ა. ღოლიჭაშვილ!**

გორის ცენტრალურ რაიონულ ბიბლიოთეკას თავის  
 ფონდში აქვს საინტერესო წიგნები და ბროშურები სოფ-  
 ლის მეურნეობის, კერძოდ: მეხილეობის, მებოსტნეობი-  
 სა და მევენახეობის შესახებ.

მეხილეობის შესახებ საინტერესო საკითხები ქვეყნ-  
 დება უურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობაში“.  
 გარდა ლიტერატურისა თქვენ შეგიძლიათ ბიბლიოთეკი-  
 დან მიიღოთ თქვენი სპეციალობის შესახებ საჭირო ცნო-  
 ბები.

**გთხოვთ მობრძანდეთ ბიბლიოთეკაში“.**

ბიბლიოთეკა ღიაა დილის 10 საათიდან სა-  
 ღამოს 7 საათამდე.

რა თქმა უნდა ამ შეტყობინებებს აკლია კონკრეტულობა. მაგ-  
 რამ, ის ფაქტი, რომ ბიბლიოთეკა ამ მიმართებით გარკვეულ მუშაო-  
 ბას ატარებს მისასალმებელია.

ასეთ შეტყობინებებს უფრო კონკრეტულად აღგენს ქუთაისის  
 ცენტრალური ბიბლიოთეკა. მაგალითად:

**პატ. მკითხველო!**

— გაცნობებთ, რომ თქვენთვის საინტერესო თემაზე  
 ბიბლიოთეკაში შემოვიდა შემდეგი წიგნები (სია თან  
 ერთვის).

გთხოვთ მობრძანდეთ ბიბლიოთეკაში და ისარგებლოთ  
 აღნიშნული წიგნებით.

**„ცენტრალური ბიბლიოთეკა“.**



ზემოთ აღნიშნეთ ცენტრალურ ბიბლიოთეკებში ჩატარებულ მუშაობის ზოგიერთი მომენტები. მაგრამ ამით არ შემოიფარგლება მათი საქმიანობა. ისინი სხვა ლონისძიებებსაც ატარებენ. ცდილობენ ახალი ფორმებისა და მეთოდების საშუალებით სრულყონ მკითხველთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურება. საუბრების დროს გამოვლინებული მკითხველები, რომლებიც საც სურთ მიიღონ ახალი წიგნების შესახებ ინფორმაცია აქციათ სურციალურ აღრიცხვაზე, რომლებსაც ბიბლიოთეკაში ახლად შემოსული წიგნებისა და ბიბლიოგრაფიული წყაროების შემოსვლისთანავე მათ ეგზავნებათ „შეტყობინება“, რომლის ფიქსირება ხდება აღრიცხვის ბარათზე. ასეთ აღრიცხვას აწარმოებენ თელავის, გურჯაანის, გორის და სხვა ცენტრალური ბიბლიოთეკები. მაგალითად, გორის ცენტრალურ რაიონულ ბიბლიოთეკას 50-ზე მეტი სპეციალისტი ყავს აღრიცხული და უწევს ინფორმაციას. აქ სპეციალისტების მოთხოვნილების დაკმაყოფილება ხდება, არა მარტო ცენტრალური ბიბლიოთეკისა და ფილიალების წიგნადი ფონდებიდან, არამედ სხვა უწყებისა და კერძოდ კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდებიდან ბიბლიოთეკათაშორისო აბონემენტის საშუალებით. მაგალითად, 1978 წლის პერიოდში სპეციალისტების მიერ 500 მოთხოვნილი წიგნიდან 425 მოთხოვნა დაკმაყოფილებული იყო ცენტრალურ ბიბლიოთეკის სისტემის ერთიანი წიგნადი ფონდებიდან. დანარჩენი 75 მოთხოვნა კი სხვა ბიბლიოთეკებიდან. ბშა-ს საშუალებით.

ცენტრალური ბიბლიოთეკის საბავშვო ფილიალს მჭიდრო კავშირი აქვს დამყარებელი სასკოლო ბიბლიოთეკებთან მოზარდითაობის წიგნით მომსახურების საქმეში. ისინი ატარებენ ერთობლივ ლონისძიებებს: ლიტერატურულ დილებს, დისპუტებს, მხატვრულ კითხვას, აწყობენ მოსწავლეთა შეხვედრებს შრომის მოწინავე და გამოჩენილ ადამიანებთან, ომის ვეტერანებთან და ქველ კომკავშირლებთან.

ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული განყოფილება სკოლებს უგზავნის საინფორმაციო ბიულეტენებს, სარეკომენდაციო სიებს, აღგილზე უწევს მეთოდურ დახმარებას და სხვ. თავის

მხრივ სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაქები პროპაგანდას უწევს მარტინ გარებაში მასწავლებლებსა და მოსწავლეებში საინფორმაციო ბიულეტენებს, სარეკომენდაციო სიებს. აქედან ირჩევენ ლიტერატურას მოსწავლე მკითხველებისათვის.

ამრიგად, ცენტრალური ბიბლიოთეკის სისტემაში საინფორმაციო ბიბლიოგრაფიული მუშაობის ამოცანას შეადგენს პარტიული, პრე-ფერენციული, კომერციული ორგანიზაციის, საწარმოო-დაწესებულების სპეციალისტებისა და ინდივიდუალურ მკითხველთა ფართო ფენებისათვის, ცნობების დროული მიწოდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებისა და ახალი წიგნების შესახებ, განსაკუთრებით იმ წიგნების შესახებ, რომლებმაც ასახულია ტექნიკის, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის თანამედროვე მიღწევები და შრომის მოწინავე მეთოდები.

## პლიტება

ცენტრალური ბიბლიოთეკის საცნობარო და ბიბლიოგრაფიული განყოფილებისა და ფილიალებში ორგანიზაციებზე და მკითხველებზე გაცემული ცნობები უნდა აღირიცხოს სათანადო ფორმის მახსედით — ეგრეთწოდებული „ცნობების აღრიცხვის უურნალში“.

ამჟამად ცენტრალურ ბიბლიოთეკებში იყენებენ აღრიცხვის სხვადასხვა ფორმას, ფილიალების ნაწილი კი გაცემულ ცნობების აღრიცხვას საერთოდ არ აწარმოებს.

„ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის მუშაობის ტექნიკაში“ მითითებულია გაცემული ცნობების აღრიცხვის ფორმა და ამ ფორმის მიხედვით უნდა ვაწარმოოთ შისი აღრიცხვა.

(აქვე ვურთავთ ამ ფორმის ნიმუშს).

ს. ს. რიცხვი	თარიღი	ცენტრალური ცნობების მიღება	ცენტრალური ცნობების მიღება	ცნობების სახეები		შესახულების წერილი	შესახულების წერილი	უსახლის მისამართი	უსახლის მისამართი	შესახულების წერილი	შესახულების წერილი
				ცენტრალური ცნობების მიღება	ცნობების მიღება						

ფილიალებში გაცემული პასუხების შესახებ ცნობები ყოველთვიურად უნდა გადაეცეს ცენტრალურ ბიბლიოთეკის საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ განყოფილებას. აქ დაჯამდება ყველა ფილიალების მიერ წარმოდგენილი ცნობები და თავის ასახვის პოვებს ცენტრალურ ბიბლიოთეკის კვარტალურ და წლიურ ანგარიშებში.

ცენტრალური ბიბლიოთეკის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება სისტემატურ დახმარებას და კონტროლს უწევს ფილიალებს, სწავლობს მათ მუშაობას და გამოვლინებულ ნაკლოვანებების შესახებ ღებულობს კონკრეტულ ღონისძიებებს მათი გამოსწორებისათვის.

## საცნობარო-ბიბლიოგრაფიული ცოდნის პროგრამაზე

ცენტრალური ბიბლიოთეკის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული განყოფილებისა და ფილიალების მუშაობის ერთ-ერთი ამოცანაა მკითხველთა შორის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული ცოდნის პროგანდა.

საცნობარო-ბიბლიოგრაფიული ცოდნის პროპაგანდის თვალსაჩინო ფორმას წარმოადგენს საცნობარო-ბიბლიოგრაფიული წყაროების გამოფენის მოწყობა, პლაკატების გაფორმება, მკითხველებთან ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები, საუბრების ჩატარება, ბიბლიოგრაფიული წიგნების მიმოხილვა და სხვ.

ცენტრალურ ბიბლიოთეკებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წიგნადი ფონდების მეგზურის — კატალოგების და კარტოთეკების პროპაგანდას. მათ შესახებ უნდა შედგეს პლაკატები სახელშოდებით „როგორ ვისარგებლოთ ცენტრალური საბიბლიოთეკო ქსელის სხვადასხვა სახის კატალოგებით და კარტოთეკებით“, „როგორ ვისარგებლოთ უურნალ-გაზეთების სტატიების სისტემატური კარტოთეკით“, მხარეთმცოდნეობის კარტოთეკით, ბიბლიოგრაფიული ცნობარებით, საძიებლებით და სხვ.

„საინსტრუქციო მეთოდურ მასალებში“ აღნიშნულია, რომ „მკითხველთა სრულფასოვანი მომსახურებისა და მათში წიგნის დამოუკიდებელი ძიების ჩვევების დანერგვისათვის ბიბლიოეთეკები ბიბლიოგრაფიულ ცოდნის სისტემატურ პროპაგანდას ეწევიან, როგორც თვით ბიბლიოთეკებში, ისე წარმოება-დაწესებულებებში. ამ შემთხვევაში ფართოდ გამოიყენება პროპაგანდის ყველა ცნობილი ფორმები და მეთოდები: საუბრები კითხვის კულტურის შესახებ, თქვენი მეგზური წიგნის ოკეანეში“, „კითხვის ხელოვნება“, „მკითხველის თანამგზავრი“ და სხვა ტიპის ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო წყაროების გამოფენა და მიმოხილვები, ზეპირი უურნალები, პლაკატები, ექსკურსიები, ტარდება საუბრები ბიბლიოთეკების ცენტრალიზებული სისტემისა და ერთიანი საცნობარო აპარატის შესახებ“ (გვ. 173).

იქვე აღნიშნულია, რომ „დიდი მნიშვნელობა აქვს ბიბლიოთეკართა სწავლების ორგანიზაციას, რაც ითვალისწინებს სემინარე-

ბის, პრაქტიკულების ჩატარებას საინფორმაციო-ბიბლიოთეკაშვილებას საქმიანობის საკითხებზე, ბიბლიოთეკართა განათლებისა და მუშაობის გამოცდილების სხვადასხვა ღონის გათვალისწინებით, სასწავლო ღონისძიებათა გეგმის შედგენისას საჭიროა აგრეთვე გავითვალისწინოთ ეგრეთწოდებული „ვიწრო ადგილების“ არსებობა, საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიულ მომსახურებაში. ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული განყოფილების მუშაკებმა და მეთოდისტებმა უნდა იცოდნენ საცნობარო პარატის მდგომარეობა, თითოეული ფილიალის მუშაობის ორგანიზაცია და გეგმაში უნდა შეიტანონ უპირველეს ყოვლისა ისეთი თემები, რომელთა დამუშავება პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს მათ“ (გვ. 174).

\* \* \*

მეთოდურ წერილში ჩვენ შევეცალთ გაგვეშუქებინა საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის ძირითადი ფორმები და მეთოდები ბიბლიოთეკების ქსელის ცენტრალიზაციის პირობებში, მოვიტანეთ პრაქტიკული მუშაობის მაგალითები ჩვენი რესპუბლიკის ცენტრალურ ბიბლიოთეკებიდან. მაგრამ, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი ამომწურავია. ცენტრალურ ბიბლიოთეკების საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ განყოფილებებმა და ფილიალებმა ეს ფორმები და მეთოდები შემოქმედებითად უნდა გამოიყენონ, სრულყონ და გააფართოონ. აღნიშნული ფორმები და მეთოდები გამოიყენონ კონკრეტული პირობების გათვალისწინებით. ისარგებლონ იმ ფორმებით, მეთოდებით, რომლებიც უფრო მეტად შეესაბამება ბიბლიოთეკის მეითხველთა ინტერესებს და ბიბლიოთეკის შესაძლებლობას. ამასთან ბიბლიოთეკის მუშაკები თვითონ უნდა ეძებდნენ ახალ ფორმებსა და მეთოდებს, ყველაფერი იღონონ მათი სრულყოფისა და გაუმჯობესებისათვის.

# სანიაზულ დეპულება ცენტრალური გიგლიორთვის საინფორმაცი, გიგლიორგრაფიული გაცოცილების შესახებ

## 1. ძირითადი ამოცანები

1.1. ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის მკითხველთა ჯელა ჯგუფის, რაიონის (ქალაქის) საწარმოო კოლექტივების სისტემატური და მიზანდასახული საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მომსახურების უზრუნველყოფა, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ხელშეწყობის მიზნით. საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული ცოდნის პროპაგანდა.

1.2. ერთიანი საცნობარო ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო სამსახურის ორგანიზაცია ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის სტრუქტურული ქვედანაყოფების შეთანხმებული საქმიანობის, სხვა სისტემებისა და უწყებების ბიბლიოთეკებთან რეგიონის ინფორმაციის ორგანოებთან მჭიდრო კოორდინაციის საფუძვლზე.

## 2. მუშაობის შინაარსი.

2.1. ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის ერთიანი საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის ორგანიზაცია და პროპაგანდა.

ა) ლიტერატურის დაკომპლექტების და დამუშავების განყოფილებასთან ერთად, ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის კატალოგებისა და კარტოთეკების სისტემის ფორმირება. ცენტრალური და შეერთებული კარტოთეკების ორგანიზაცია, წარმოება და რედაქტირება. კარტოთეკების შექმნაში ცენტრალური საბავშო ბიბლიოთეკისა და ბიბლიოთეკა-ფილიალებისადმი დახმარების გაწევა;

ბ) მონაწილეობის მიღება ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის ერთიანი საცნობარო-ბიბლიოგრაფიული ფონდის დაკომპლექტებაში; საცნობარო და ბიბლიოგრაფიული გამოცემებით ცენ-

ტრალური ფონდის ფორმირება; დახმარების გაწევა სტრუქტურული ქვედანაყოფების საცნობარო ფონდების ორგანიზაციაში.

გ) შესრულებული ცნობების ფონდის (არქივის) და მისი საცნობარო აპარატის შექმნა.

დ) საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის პროპაგანდა, მის გამოყენებაში მკითხველებისათვის საკონსულტაციო და მეთოდური დახმარების გაწევა.

2.2. მკითხველებთან ინდივიდუალურ და მასობრივ მუშაობაში საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის გამოყენების ხელშეწყობა; მოზრდილი მოსახლეობის და ბავშვების მომსახურე ბიბლიოთეკა-ფილიალებისადმი, ცენტრალური ბიბლიოთეკის და ცენტრალური საბავშვო ბიბლიოთეკის განყოფილებებისადმი დახმარების გაწევა, კითხვის ხელმძღვანელობის სარეკომენდაციო-ბიბლიოგრაფიული მეთოდების დაწერვაში.

2.3. ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის და რაიონის (ქალაქის) საწარმოო კოლექტივების ოპერატიული საცნობარო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების განხორციელება;

ა) ბიბლიოგრაფიული ცნობების შესრულება ცენტრალური ბიბლიოთეკის მკითხველების, ორგანიზაციების, საწარმოების, დაწესებულებების შეკვეთების მიხედვით;

ბ) ცენტრალური საბავშვო ბიბლიოთეკის და ბიბლიოთეკა-ფილიალების მკითხველების მოთხოვნილებების შესრულება, რომლებიც ცენტრალური საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის გამოყენებას მოთხოვენ;

გ) ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის ერთიანი ფონდისა და ბშა-ს წიგნებზე მკითხველთა რთული მოთხოვნილებების ბიბლიოგრაფიული დამუშავება;

დ) შესრულებული ცნობების და უარების მიზეზების სისტემა-ტური ანალიზი; ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის გამოყენების შესწავლა.

2.4. მკითხველების, საწარმოო კოლექტივების და რაიონის (ქალაქის) მოსახლეობის მასობრივი ჯგუფური და ინდივიდუალური ინფორმაციების ორგანიზაცია ცენტრალური ბიბლიოთეკის, ცენ-

ტრალური საბავშვო ბიბლიოთეკის განყოფილებებთან და ბიბლიოთეკის  
თეკა-ფილიალებთან ერთად:

ა) ახალგაზრდული ლიტერატურის საინფორმაციო ბიულეტე-  
ნის და ლიტერატურის თემატური სისტემის მომზადება. ბიულეტე-  
ნისა და სიების დაგზავნა ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სის-  
ტემის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, რაიონის (ქალაქის) საწარ-  
მოებში, ორგანიზაციებში და დაწესებულებებში;

ბ) ბიბლიოგრაფიული მიმოხილვების, ლიტერატურის გამოფე-  
ნა-დათვალიერებების სპეციალისტების დღეების, ინფორმაციის  
დღეების ჩატარება;

გ) მკითხველთა ცალკეული ჯგუფების, რაიონის (ქალაქის) სა-  
წარმოო კოლექტივების ინფორმირება;

დ) მკითხველთა ინდივიდუალური ინფორმირება. პარტიული,  
საბჭოთა პარატის მუშაკების, დაწესებულებების, საწარმოების,  
ორგანიზაციების ხელმძღვანელების, სახალხო მეურნეობის სპეცია-  
ლისტების, გამომგონებლების, რაციონალიზატორების, წარმოების  
მოწინავეების, მეცნიერების, განათლების, კულტურის, ჯანმრთელო-  
ბის დაცვის მუშაკთა ოპერატორული ინფორმირების უზრუნველყოფა.

ე) ინდივიდუალური და ჯგუფური ინფორმირების აბონენტთა  
შეერთებული კარტოთეკის წარმოება; ინფორმირების ეფექტიანო-  
ბის კონტროლი;

ვ) საინფორმაციო მასალების მომზადება ბეჭდვითი სიტყვის,  
რადიოს, ტელეხედვისათვის.

2.5. საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული ცოდნის პროცეგანდა  
მკითხველთა ცალკეულ ჯგუფებს შორის; გამოფენების, ბიბლიოგრა-  
ფიული წყაროების მიმოხილვების ორგანიზაცია; ჯგუფური და ინ-  
დივიდუალური კონსულტაციების, სემინარებისა და საბიბლიოთე-  
კო-ბიბლიოგრაფიული გაკვეთილების ჩატარება; პლაკატების სამახ-  
სოვროების გაფორმება; ბეჭდვითი სიტყვის, რადიოს და ტელეხედ-  
ვის გამოყენება. მუშაობის ორგანიზაცია და ცენტრალური ბიბლი-  
ოთეკის, ცენტრალური საბავშვო ბიბლიოთეკის და ბიბლიოთეკა-  
ფილიალების მკითხველებში საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული  
ჩვევების გამომუშავებისათვის.

2.6. მუშაობის კოორდინაცია სხვა სისტემისა და უწყებების

ბიბლიოთეკებთან, რეგიონის ინფორმაციის ორგანოებთან და ქუთაისის ველთა საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მომსახურების ძირითადი მიმართულების მიხედვით; შუამავლის როლის შესრულება საინფორმაციო ცენტრებს, სპეციალურ ბიბლიოთეკებსა და ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის მეითხველებს შორის.

2.7. ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის მდგომარეობის სისტემატური ანალიზი. სტრუქტურული ქვედანაყოფების მონაცემების საფუძველზე ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის აღრიცხვა.

2.8. ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის წლიური პერსპექტიული და კვალიფიციური გეგმების, ტექსტობრუნვი და სტატისტიკური ანგარიშების შედგენა ცენტრალური ბიბლიოთეკის, ცენტრალური საბავშვო ბიბლიოთეკის განყოფილებების და ბიბლიოთეკა-ფილიალების გეგმებისა და ანგარიშების საფუძველზე.

2.9. მეითხველებისა და საწარმოო კოლექტივების საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მომსახურების ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემების მოწინავე გამოცდილების შესწავლა და განხოგადოება; მუშაობის პრაქტიკაში მოწინავე გამოცდილების ცენტრალური ბიბლიოთეკის რეკომენდაციების დანერგვა საორგანიზაციო-მეთოდურ განყოფილებებთან ერთად.

2.10. მუშაობაში მონაწილეობის მიღება:

ა) ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის კადრების ბიბლიოგრაფიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

ბ) საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის ორგანიზაციაში ბიბლიოთეკართა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებების ჩატარებაში რაიონის (ქალაქის) სხვა სისტემებისა და უწყებების ბიბლიოთეკებისადმი საკონსულტაციო და მეთოდური დახმარების გაწევისათვის.

### 3. მუშაობის ორგანიზაცია და მართვა

3.1. საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული განყოფილება ცენტრალური ბიბლიოთეკის სტრუქტურულ ქვედანაყოფს წარმოადგენს, ცენტრალური საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორის ან მოადგილის გამგებლობაში იმყოფება და მათი უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობს.

3.2. თავის პრაქტიკულ საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კანონებით, სამინისტროების, სამმართველოების, კულტურის განყოფილებების დადგენილებებითა და ბრძანებებით; „დებულებით სახელმწიფო მასობრივი ბიბლიოთეკების ცენტრალიზაციის შესახებ“, მეთოდური ცენტრების რეკომენდაციებით; ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის მუშაობის პერსპექტივული და წლიური გეგმებით; ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორის ბრძანებებითა და განკარგულებებით; დებულებით განყოფილების შესახებ.

3.3. განყოფილების სტრუქტურა და შტატები რესპუბლიკაში დადგენილი წესის შინედვით მტკიცდება, განყოფილების შტატში შედის საბავშვო ლიტერატურის სპეციალისტი ბიბლიოგრაფი.

3.4. განყოფილებას ხელმძღვანელობს გამგე, რომელსაც სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კულტურის განყოფილებასთან შეთანხმებით, შრომის კანონმდებლობის შესაბამისად — ნიშნავს და ანთავისუფლებს დაკავებული თანამდებობიდან ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორი. იგი პასუხს ავტობის განყოფილების მთელი მუშაობის ორგანიზაციასა და შინაარსზე განყოფილების გამვის მოვალეობები ბი განისაზღვრება ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციით.

განყოფლების გამგე შედის დირექტორთან არსებული საბჭოს შემადგენლობაში.

3.5. განყოფილების თანამშრომლებს განყოფილების გამგის წარდგინებით, შრომის კანონმდებლობის შესაბამისად ნიშნავს და ანთავისუფლებს ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორი. მათი მოვალეობები განისაზღვრება ცენტრალიზებული

საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორის მიერ დამტკიცებულია მიწა  
რუქით.

3.6. განყოფილება ადგენს მუშაობის პერსპექტიულ, წლიურ და კვარტალურ გეგმებს, ტექსტობრივ და სტატისტიკურ ანგარიშებს განყოფილების მუშაობის შესახებ. გეგმებსა, და ანგარიშებს ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორი ამტკიცებს.

3.7. განყოფილების თანამშრომელთა პროფესიული დონის ასამაღლებლად განყოფილება ატარებს ღონისძიებებს, ნერგავს შრომის ორგანიზაციის მეცნიერულ მეთოდებს.

3.8. განყოფილების მუშაობის განრიგი განისაზღვრება საწარმოო აუცილებლობის მიხედვით და მის ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორი ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს რაიონული (საქალაქო) აღმასკომის კულტურის განყოფილებასთან და კულტურის მუშაკთა პროფკავშირების ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

# საინფორმაციო-გიგანტიობრივი განყოფილების გამგის სანიაზურო თანამდებობრივი ინსტრუმენტი

## 1. ზოგადი დებულებანი

1.1. საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგე ხელმძღვანელობს განყოფილების მთელ საქმიანობას. პასუხს აგებს განყოფილების მუშაობის იდეურ-პოლიტიკურ მიმართულებასა და ორგანიზაციაზე, ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის მკითხველთა საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მომსახურების დაყენებაზე.

1.2. საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგეს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს ორგანიზაციის განყოფილებასთან შეთანხმებით, შრომის კანონმდებლობის შესაბამისად, ნიშნავს და ანთავისუფლებს. დაკავებული თანამდებობებით ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორი. იგი ემორჩილება უშუალოდ ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორს ან მის მოადგილეს.

1.3. საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგე თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს პარტიისა და მთავრობის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით; სსრ კავშირის კანონებით; ზემომდგომი ორგანიზაციების სახელმძღვანელო მასალებით; „დებულებით სახელმწიფო მასობრივი ბიბლიოთეკების ცენტრალიზაციის შესახებ“; მეთოდური ცენტრების რეკომენდაციებით; დებულებით განყოფილების შესახებ, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და განყოფილების საქმიანობის მარეგლამენტირებელი სხვა დოკუმენტებით; ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის და განყოფილების მუშაობის პერსპექტიული და წლიური გეგმებით; ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორის ბრძანებითა და განკარგულებებით.

1.4. საინფორმაციო ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგე:  
 —ნერგავს შრომის ორგანიზაციის მეცნიერულ მეთოდებს;  
 —მონაწილეობს განყოფილებების კადრების შერჩევაში.  
 ხელს უწყობს განყოფილების მუშავთა შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას;

— საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად კოლექტურულად ატარებს აღმზრდელობით მუშაობას; ორგანიზაციას უკეთებს სოციალისტურ შეჯიბრებას;

1.5. საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგე შედის ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორთან არსებულ საბჭოში.

## 2. თანამდებობრივი მოვალეობაზი

საინფორმაციო ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგე:

2.1. ანსორციელებს ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის ხელმძღვანელობას. ორგანიზაციას უკეთებს ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობას მკითხველებისა და საწარმოო კოლექტივების საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის ხაზით.

— აკონტროლებს ცენტრალური ბიბლიოთეკის, ცენტრალური საბავშვო ბიბლიოთეკის განყოფილებისა და ბიბლიოთეკა-ფილიალების ბიბლიოგრაფიულ საქმიანობას, უწევს მათ პრაქტიკულ დახმარებას;

— ეწევა სხვა სისტემებისა და უწყებების ბიბლიოთეკებთან, რეგიონის ინფორმაციის ორგანოებთან მუშაობის კოორდინაციას;

2.2. სისტემატურად აანალიზებს და ანზოგადოებს სტრუქტურული ქვედანაყოფილების მონაცემებს, აღვენს ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის გეგმებს, ტექსტობრივ და სტატისტიკურ ანგარიშებს.

2.3. ორგანიზაციას უკეთებს:

— ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის ერთგან საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ აპარატს, მონაწილეობს ცენტრალური ბიბლიოთეკის, ცენტრალური საბავშვო ბიბლიოთეკის და ბიბლიოთეკა-ფილიალების საცნობარო-ბიბლიოგრაფიული ფონდის დაკომპლექტებაში;

— ერთიან ფონდში ახალმიღებული საინფორმაციო ბიულეტენის გამოშვებას და გავრცელებას, ლიტერატურის თემატური სისტემის, საინფორმაციო მასალების შედგენას ბეჭდვითი სიტყვისათვის, რაღიოსა და ტელეხელვისათვის; ანსორციელებს მათ რედაქტირებას;

— ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის მკითხველებისა და რაიონის (ქალაქის) საწარმოო კოლექტივების საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ მომსახურებას; ასრულებს რთულ ბიბლიოგრა-

ფიულ მოთხოვნილებებს; აანალიზებს შესრულებული ცენტრულისა და უარების მიზეზებს;

— მკითხველების, საწარმოო კოლექტივების და რაიონის (ქალაქის) მოსახლეობის მასობრივ, ჭაღუფურ და ინდივიდუალურ ინფორმირებას; უზრუნველყოფს ინდივიდუალური და კოლექტიუმი ინფორმირების პარნენტთა შეერთებული კარტოთეკის წარმოებას; ანხორციელებს ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის საინფორმაციო მუშაობის ეფექტიანობის კონტროლს.

— მკითხველთა და ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის თანამშრომელთა შორის საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული ცოდნის პროპაგანდას.

2.4. სწავლობს და ნერგავს ცენტრალიზებული სისტემის მოწინავე გამოცდილებას მკითხველთა საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მომსახურებაში.

2.5. მონაწილეობს საორგანიზაციო-მეთოდური განყოფილების მუშაობაში ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის კადრების ბიბლიოგრაფიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის; რაიონის (ქალაქის) სხვა სისტემებისა და უწყებების ბიბლიოთეკებისათვის, განყოფილების პროფილის შესაბამისად, საკონსულტაციო და მეთოდური დახმარების გასაწევად;

2.6. გეგმავს და ორგანიზაციას უკეთებს განყოფილების მუშაობას:

— იდგენს მუშაობის პერსპექტიულ, წლიურ და კვარტალურ გეგმებს, ტექსტობრივ და სტატისტიკურ ანგარიშებს განყოფილების მუშაობის შესახებ.

— თანამშრომელთა შორის ანაწილებს მოვალეობებს მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით;

— ამუშავებს განყოფილ ების მუშაქთა თანამდებობრივ ინსტრუქციებს მოქმედი ტიპობრივი ინსტრუქციის შესაბამისად;

— ძებულებებს განყოფილების მუშაქების მიერ საწარმოო და შრომის დისციპლინის, შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკის და ხანძარსაწინააღმდეგოდ დაცვის წესების შესრულებას.

საინფორმაციო-გიგანტის გრაფიკული განყოფილების უფრო-  
სი გიგანტის გრაფიკის (საბავშვო ლიტერატურის გიგანტ-  
გრაფიკის დარგში) გრაფიკის გრაფიკის გიგანტის გიგანტ-  
გრაფიკის დარგში სანიაზო თანამდებობის გიგანტის  
ინსტრუმენტი

### 1. ზოგადი დებულებები

1.1. უფროსი ბიბლიოგრაფი (საბავშვო ლიტერატურის ბიბლი-  
ოგრაფიის დარგში) აწარმოებს მუშაობის დამოუკიდებელ უბანს,  
პასუხს აგებს ბავშვი — მყითხველების, აგრეთვე ბავშვთა კითხვის  
ხელმძღვანელობის საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ და საინფორმა-  
ციონ მომსახურებაზე.

1.2. უფროს ბიბლიოგრაფი (საბავშვო ლიტერატურის ბიბლი-  
ოგრაფიის დარგში) განყოფილების გამგის წარდგინებით, შრომის  
კანონმდებლობის შესაბამისად და ცენტრალური საბავშვო ბიბლი-  
ოლოთეკის გამგესთან შეთანხმებით ნიშნავს და ანთავისუფლებს  
დაკავებული თანამდებობიდან ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო  
სისტემის დირექტორი. იგი ემორჩილება (ექვემდებარება) განყო-  
ფილების გამგეს და ცენტრალური საბავშვო ბიბლიოთეკის გამგეს.

1.3. უფროსი ბიბლიოგრაფი (საბავშვო ლიტერატურის ბიბლი-  
ოგრაფიის დარგში) თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს პარტიი-  
სა და მთავრობის დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით; სა-  
ბიბლიოთეკო საქმისა და სახალხო განათლების დარგში ზემდგომი  
ორგანიზაციების სახელმძღვანელო მასალებით; „დებულებით სა-  
ხელმწიფო მასობრივი ბიბლიოთეკების ცენტრალიზაციის შესახებ“;  
მეთოდური ცენტრების რეკომენდაციებით; დებულებით საინფორ-  
მაციო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების შესახებ; თანამდებობრი-  
ვი ინსტრუქციით და განყოფილებისა და ცენტრალური საბავშვო  
ბიბლიოთეკის საქმიანობის მარეგლამენტირებელი სხვა დოკუმენ-  
ტებით; ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორის,  
განყოფილების გამგის, აგრეთვე ცენტრალური საბავშვო ბიბლიო-  
თეკის გამგის განკარგულებებითა და მითითებებით; შრომის დაც-  
ვის, უსაფრთხოების ტექნიკის და ხანძარსაჭინააღმდეგო დაცვის  
წესებით.

## 2. თანამდებობრივი მოვალეობები

უფროსი ბიბლიოგრაფი (საბავშვო ლიტერატურის ხაზით):

— ორგანიზაციას და კოორდინაციას უკეთებს სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობას ბავშვი-მკითხველების და ბავშვთა კითხვის ხელმძღვანელთა საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ და საინფორმაციო მომსახურების ხაზით.

— აკადემიური ცენტრალური საბავშვო ბიბლიოთეკის განყოფილებების, ბავშვების მომსახურე ბიბლიოთეკა-ფილიალების ბიბლიოგრაფიულ საქმიანობას უწევს მათ პრაქტიკულ დახმარებას;

— ბავშვი-მკითხველების და ბავშვთა კითხვის ხელმძღვანელთა საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების ძირითადი მიმართულებების მიხედვით ახდენს მუშაობის კოორდინაციას რაიონის (ქალაქის), სასოფლო პროფესიონული, საბავშვო და სხვა ბიბლიოთეკებთან;

— სისტემატურად აანალიზებს და ანზოგადოებს სტრუქტურული ქვეგანაყოფების მონაცემებს, ადგენს ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის ბავშვ-მკითხველებთან საცნობარო-ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის გეგმებს, ტექსტობრივ და სტატისტიკურ ანგარიშებს;

— ორგანიზაციას უკეთებს ცენტრალური საბავშვო ბიბლიოთეკის ცენტრალური საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ პარატს, მონაწილეობს ცენტრალური საბავშვო ბიბლიოთეკის და ბავშვების მომსახურე ბიბლიოთეკა-ფილიალების საცნობარო-ბიბლიოგრაფიული ფონდებს დაკომპლექტებაში;

— მონაწილეობს ჟრთიან ფონდში ახალმიღებული ლიტერატურის საინფორმაციო ბიულეტენის გამოშევებაში; ბავშვებისათვის ადგენს ლიტერატურის სარეკომენდაციო სიებს;

— ორგანიზაციას უკეთებს ბავშვი-მკითხველების და ბავშვთა კითხვის ხელმძღვანელობის მასობრივ, ჯგუფურ და ინდივიდუალურ ინფორმირებას;

— ბავშვ-მკითხველებში ეწევა საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული ცოდნის პროპაგანდას;

— სწავლობს და ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის

პრაქტიკაში ნერგავს საბავშვო ბიბლიოთეკების ბიბლიოგრაფიულ მუშაობის მოწინავე გამოცდილებას;

— მონაწილეობს საორგანიზაციო-მეთოდური განყოფილების მუშაობაში ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის კადრების ბიბლიოგრაფიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

— საკონსულტაციო და მეთოდურ დახმარებას უწევს სხვა სისტემებისა და უწყებების ბიბლიოთეკებს ბავშვი-მკითხველების საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიულ მომსახურებაში.



Министерство культуры Грузинской ССР  
Государственная республиканская библиотека  
Грузинской ССР им. К. Маркса

СПРАВОЧНО-БИБЛИОГРАФИЧЕСКАЯ И ИНФОРМАЦИОННАЯ РАБОТА В УСЛОВИЯХ ЦЕНТРАЛИЗАЦИИ  
СЕТИ БИБЛИОТЕК

(Методическое письмо)  
(На грузинском языке)

Составитель Захарий Яковлевич Мишеладзе  
Редактор Гуя Кутаровна Берулава

ТБИЛИСИ  
1979

გადაეცა ასაწყობად 19/VII 1979 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/XII-79 წ.  
ანაწყობის ზომა  $6 \times 9$ , ქაღალდის ზომა  $60 \times 84$  ნაბეჭდი თაბახი 3,4;

შეკვ. № 741, ფ. 13135, ტირ. 1000.

საქ. სსრ კანათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის 7.  
Типография Министерства просвещения ГССР, Нуцубидзе 7.



№ 3/2